ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

4 ივლისიდან
ვჟ[ჟკბ სჟჱ,ჟ4+
კბ რეჟყ ბე
“ცზყუჟგეჰზც ზცნჯჰზჟ„
* კჟჰზ




js[if,fsb7 @% bdkbcb7 @)!@ 1175 (5865) afcb5 #) stshb

# ბიძინა ივანიშვილი: შესაძლოა, ბიზნესს საერთოდაც აღარ დავუბრუნდე“

„მიუხედავად იმისა, რომ კვლევების თანახმად, არჩევნების წინ სააკაშვილის პარტია კარგავს მხარდამჭერებს, ხოლო ივანიშვილის ოპოზიციური კოალიციის რეიტინგი იზრდება, მილიარდერის მოკავშირეები საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვებას ვერ ახერხებენ. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელიც 16 ივლისს გამოქვეყნდა, სააკაშვილის ნაციონალურ მოძრაობას მხარს უჭერს გამოკითხულთა 36% , ხოლო ბიძინა ივანიშვილის პარტიას — 18% .“



გვ.5

## თეთრები“, თავისუფალი საქართველო“ და ტრადიციონალისტები“ ერთიანდებიან

გვ.3



## სააკაშვილის ოლიმპიადაზე წასვლის საკითხი გადაწყვეტილი არ არის



გვ. 7

## ლევან ბეჟაშვილს ლაშა თორდია შეცვლის



გვ.4



## ერთობა სამართლიანობისთვის“ მთავრობას სარეზერვო ფონდებიდან ფულის ჭამაში“ ადანაშაულებს



გვ.2

## ირინა სარიშვილი: დარწმუნებული ვარ, რესპუბლიკელები ივანიშვილს უღალატებენ“



გვ.2

4 ივლისიდან
ვჟ[ჟკბ სჟჱ,ჟ4+
ვჟაზზც ზცნჯჰზჟ
!) კჟჰზ




ISSN 1987-9385

6 ჟურნალისტები მაესტროს“ მხარდასაჭერად აქციას გამართავენ

6 საქართველოში ინსტიტუციებისადმი მოსახლეობის ნდობის თვალსაზრისით ეკლესია ლიდერობს

3 ვარძელაშვილის დელეგაციის წევრებმა დანიაში იქურდეს“

6 დედაქალაქის ნაწილს დღეს ელექტროენერგიის მიწოდება შეეზღუდება

# ირინა სარიშვილი: დარწმუნებული ვარ, რესპუბლიკელები ივანიშვილს უღალატებენ“

ნონა ცაბაძე

ხელისუფლებამ უკვე აქტიურად ჩართო რეპრესიული მანქანა. სიტუაციის დაძაბვის და კონტროლიდან გამოსვლის რისკი დღითიდღე იზრდება. ყველაფერს აკეთებს ხელისუფლება იმისთვის, რომ მოსახლეობა ამას წინასწარ გრძნობდეს, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბრისას ირინა სარიშვილი.



**ირინა სარიშვილი:**

– ახალაიას დანიშვნა სხვა არაფერი იყო, თუ არა იმის დემონსტრაციული განცხადება, რომ ხელისუფლება გადადის რეპრესიებზე და ხალხის დაშინებაზე. მეორე მხრივ, ის ალბათ 95%-ით არ გამორიცხავს დაპირისპირებას. არსებობს საფრთხე იმისაც, რომ ეს ყველაფერი მოხდეს არა მხოლოდ არჩევნების შემდეგ, არამედ არჩევნებამდე. მე ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი ხელისუფლებას მხოლოდ არჩევნებამდე აწყობს. აგვისტოს მეორე ნახევარი პოლიტიკურად ძალიან ცხელი იქნება. თუ რა შედეგს მივიღებთ ამ დაპირისპირებისგან, ეს ძნელი სათქმელია. ერთი მხრივ, დაპირისპირება და კონფლიქტი ტრაგიკულად არ უნდა ალვიქვათ, რადგან თუ ამ ხელისუფლებასთან დამშვიდობება გვინდა, არა მარტო სააკაშვილთან, არამედ მთლიანად ამ გუნდთან, მაშინ კონფლიქტს თავიდან ვერ ავცდებით. თუმცა კატასტროფა იქნება ის, თუ ეს კონფლიქტი უშედეგო იქნება და თუ ამ კონფლიქტში გამარჯვებული გამოვა ხელისუფლება, თანაც ისეთი გამარჯვებული, როდესაც მას ეს გამარჯვება დამარცხებად არ ექცევა. მიმიხვდით ალბათ, რასაც ვგულისხმობ. არსებობს საფრთხე იმისაც, რომ სახელისუფლო დესანტი ბიძინა ივანიშვილის კოალიციაში, ფარულადაც და ნახევრად ღიადაც დაიწყებს მოქმედებს. მე მხედველობაში მყავს თავისუფლების ინსტიტუტის მინარევები. რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ ისინი სააკაშვილთან არიან გარიგებულნი, არამედ იმიტომ, რომ მათ უკან ერთი ძალა დგას და ისინი ერთი ძალის კარნახით მოქმედებენ. შესაძლებელია ხელისუფლებამ დააპიროს გარკვეული ძალებით აი ამ კოალიციის ჩანაცვლება. ყოველ შემთხვევაში, მეთაურის ჩანაცვლება.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ხელისუფლებას არეულობა არჩევნებამდე აწყობს?***

– მოდით ასე ვთქვათ, არეულობის გარეშე არაფერი გამოვა. არეულობა არ მოხდება ერთადერთ შემთხვევაში, თუ მოხდა იმ ტიპის გარიგება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, რომლითაც კმაყოფილი იქნება ორივე მხარე, მაგრამ ესეც არ არის სიმშვიდის გარანტია. რაც არ უნდა გაურიგდეს ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთს და როგორც არ უნდა მოილაპარაკონ, ოპოზიციის უკან დგას რეალურად ძალიან უკმაყოფილო ხალხი, რომელიც ძალიან დიდ იმედებს ამყარებს დღეს მიმდინარე პროცესებზე და იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხელისუფლება და ოპოზიცია მოილაპარაკებენ, ხელისუფლება მაინც მზად არის სამოქალაქო დაპირისპირებისთვის. ხელისუფლებამ მშვენივრად იცის, რომ ეს ის შემთხვევა აღარ არის, როცა უკანდახეულ ოპოზიციის ლიდერებს ხალხი ასევე უდრტვინველად გაყვება უკან. პირიქით, ამან შეიძლება გაცილებით რთული პროცესები გამოიწვიოს.

***– იყო საუბარი იმის შესახებ, რომ ოპოზიცია მაჟორიტარების შემთხვევაში ერთიან კანდიდატებზე შეთანხმდებოდა, თუმცა ასე არ მოხდა და ყველა თავის კანდიდატს ასახელებს. ეს რამდენად დააზარალებს ოპოზიციას?***

– რა თქმა უნდა, ვინმე ამას აცნობიერებს თუ არა, ყველა ოპოზიციური დაჯგუფება თუ კანდიდატი, რომელიც ამრავლებს ოპოზიციურ კანდიდატთა რიცხვს, ან რომელიც კენჭს იყრის პროპორციულად, როგორც საარჩევნო სუბიექტი, უნდა მას ეს თუ არ უნდა, აცნობიერებს ამას თუ არა, ყველა შემთხვევაში ხელს უწყობს ხელისუფლებას ოპოზიციური ხმების დაქსაქსვაში. შემდეგ წავა თავის მართლება, რომ ამა თუ იმ ძალამ მთავარ ოპოზიციას წაართვა ხმები. გინდაც მაჟორიტარ კანდიდატებად და გინდაც სიობრივად, დღეს ხმის გაყოფა სააკაშვილისთვის არავის არ შეუძლია. ნაციონალებმა რა ხმებიც უნდა მიიღონ, იმ ხმებს მიიღებენ და ამას დაემატება კიდევ გაყალბება. სხვათა შორის, გაყალბება იგეგმება არა იმ თვალსაზრისით, რომ ჩაიყაროს რაც შეიძლება ბევრი ნაციონალების ყულაბაში, არამედ იმ პარტიების და იმ დამატებითი სუბიექტების ყულაბაში, რომლებმაც საბოლოო ჯამში უნდა შექმნან ცრუ, დემოკრატიულად ჩატარებული არჩევნების სურათი.

***– რაც შეეხება ხელისუფლების შიგნით არსებულ მდგომარეობას, საუბარია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში დიდი დაპირისპირებებია და მაღალი თანამდებობის პირები ყოველდღე ტოვებენ სამინისტროსო...***

– ეს ასეც რომ იყოს, ამაში ვერაფერს განსაკუთრებულს ვერ ვხედავ, იმიტომ, რომ თუ არსებობს შინაგან საქმეთა სამინისტროში თანამშრომლების ის ნაწილი, რომლებიც არ დაემორჩილებიან ხელისუფლების ბრძანებას და არ წავლენ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, მე ვფიქრობ, ასეთმა ადამიანებმა კი არ უნდა დატოვონ პოლიციის რიგები, პირიქით, ბოლომდე იქ უნდა იყვნენ, რადგან ისინი სხვებით არ ჩაანაცვლონ. მათ მაშინ უნდა აჩვენონ თავიანთი პოზიცია, როცა საქმე საქმეზე მიდგება. სამწუხაროდ, ასეთ პროცესებს ვერ ვამჩნევ.

რასაკვირველია, ახალაიას არ ექნება იმის შესაძლებლობა, რომ მის სისტემაში ყველა ძალიან კარგად მართოს. რაც შეეხება ვანო მერაბიშვილის გავლენას შინაგან საქმეთა სამინისტროზე, ეჭვი არავის შეეპაროს, რომ ეს გავლენა ისევ ისეთია. ეს არის ყველაზე გავლენიანი შინაგან საქმეთა მინისტრი – ვანო მერაბიშვილი, ამჯერად დროებით ყოფილი, რომელიც ოდესმე ყოლია საქართველოს. კახა თარგამაძესთან შეიძლება მხოლოდ მისი მიმსგავსება, გავლენის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე ვანო მერაბიშვილის პოზიცია ძალიან განსაზღვრავს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალების მართვას. მე ეჭვი არ მეპარება, რომ ვანო მერაბიშვილს აბსოლუტურად გარკვეული პოზიცია აქვს ხელისუფლების სასარგებლოდ და, საერთოდ, იმ მოლაპარაკებების და იმ შეთანხმებების სასარგებლოდ, რომელიც ხელისუფლებამ შესაძლებელია ამა თუ იმ ოპოზიციურ დაჯგუფებასთან, ან მთავარი ოპოზიციის რესპუბლიკურ ნაწილთან დადოს.

***– ბევრი არ თვლის ასე, რომ მერაბიშვილმა შეინარჩუნა შს სამინისტროზე თავისი გავლენა...***

– რა თქმა უნდა, შეინარჩუნა. ჯერ ერთი, არავის არ სმენია მერაბიშვილსა და ახალაიას შორის არსებულ დაპირისპირებაზე და მეორეც, მერაბიშვილი ისეთ დროს იქნა „დაწინაურებული“ და სინამდვილეში შემონახული სამომავლო პერსპექტივისთვის, როდესაც ძირეული საკადრო ცვლილებების ჩატარება შინაგან საქმეთა სამინისტროში, სურვილიც რომ ჰქონდეს ვინმეს ამისი, უბრალოდ, შეუძლებელია, ამისთვის დრო არ ეყოფათ.

რაც შეეხება ვანო მერაბიშვილსა და ივანიშვილს შორის არსებულ ურთიერთობებს, ამას პოლიტიკურად მნიშვნელობა ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ დავინახავთ დაუფარავ გარიგებას ოპოზიციურ გაერთიანებასა და ხელისუფლებას შორის. სწორედ ამ შემთხვევაში ენიჭება მნიშვნელობა მერაბიშვილისა და ივანიშვილის ურთიერთობებს. მე ეჭვი მეპარება, ასეთი გარიგება რომც არსებობდეს, მასში მონაწილეობდეს კონკრეტულად ივანიშვილი. ივანიშვილს ეს არანაირად არ აწყობს. თუმცა იმის საქმის კურსში ნამდვილად იქნება, რა პროცენტებზე მიდის დავა მის რიგებში მყოფ რესპუბლიკელებსა და საარჩევნო მამებს შორის.

***– რატომ გგონიათ, რომ რესპუბლიკელები უღალატებენ ივანიშვილს?***

– მე მგონი, ესეც კი ზედმეტია მათთვის, რომ ვთქვათ, ისინი ვინმეს ღალატობენ. იმიტომ რომ, ვიღაცას რომ ღალატობ, ვიღაცის გვერდით უნდა იყო. ეს არ არის ის ხალხი, რომლებსაც ვინმეს გვერდით ყოფნა შეუძლია. ისინი მოქმედებენ რობოტებივით, იმ კონკრეტული მითითებების მიხედვით, რომელიც მათ ეძლევათ. საერთოდ ძალიან ღრმა ანალიზიც რომ არ ვაკეთოთ, ყველაზე მცირერიცხოვანი ორგანიზაცია საქართველოში, ყველაზე არაპოპულარული და უკონტაქტო, მომსახურების სფეროდან გასული, მცირერიცხოვანი ადამიანების ჯგუფისგან შედგენილნი, რანაირად ახერხებენ მთელი წლის განმავლობაში, რომ ტალღაზე შენარჩუნდნენ? ამაზე ცოტას თუ დავფიქრდებით, ძალიან ღრმა ანალიზი არ დაგვჭირდება იმისთვის, რომ მივხვდეთ, უბრალოდ კონკრეტული ძალების ინტერესებშია, რომ არსებობდნენ. თუნდაც ივანიშვილის პოლიტიკური შემოსვლა რომ გავიხსენოთ, ივანიშვილმა სწორედ ისინი გამოაცხადა საყრდენად. ივანიშვილის შემოსვლამდე ოპოზიციის მდგომარეობა სავალალო იყო, ხოლო რესპუბლიკელებს საკუთარი ოჯახის წევრებიც აღარ აძლევდნენ ხმას. ანუ მოხდა რეამინირება პოლიტიკურად მკვდარი ორგანიზაციის.

მე ისევ არჩევნების თემას მინდა დავუბრუნდე და გითხრათ, თუ როგორი იქნება არჩევნების მომდევნო დღეები. ეს ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი იქნება არჩევნების წინა დღეები, ამაზე ბევრი რამე იქნება დამოკიდებული. მე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე, ვისურვებდი, რომ არჩევნების შემდგომი დღეები არ ყოფილიყოს მშვიდი. იმიტომ, რომ არჩევნების შემდგომი დღეები მშვიდი იქნება ერთადერთ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება მიიღებს იმ შედეგებს, რა შედეგებიც მას უნდა. ასეთი შედეგების მიღება მას შეუძლია არა მხოლოდ გაყალბების გზით, ეს არ არის საკმარისი, არამედ იმ პარტიებთან მოლაპარაკების გზით, რომლებიც აღმოჩნდებიან არჩევნების შემდგომ პარლამენტში. სწორედ ამიტომ არის ხელისუფლება დაინტერესებული, რომ იმ 30– 35%-ში, რომელიც მას ემეტება ოპოზიციისთვის, რაც შეიძლება მეტი პარტია მოხვდეს, თუნდაც თითო კაცით. თავიანთთვის კი განსაზღვრული აქვთ 65-დან 70%-მდე. ამ შემთხვევაში იმდენად წინასაარჩევნო კამპანიას არა აქვს იმხელა მნიშვნელობა, რამდენადაც იმას, მოახერხებს თუ არა ხელისუფლება ოპოზიციასთან გარიგებას და რა ნაწილთან მოახერხებს ამას. მეორე მხრივ, მნიშვნელობა აქვს, როგორ მოიქცევა ოპოზიცია არჩევნების შედეგების დადების შემდეგ. თუ ამას არანაირი კონფლიქტი არ მოყვა, მაშინ ამ კონფლიქტს უნდა ველოდოთ არჩევნების წინ და აქვე უნდა გაირკვეს ყველაფერი.

# ერთობა სამართლიანობისთვის“ მთავრობას სარეზერვო ფონდებიდან ფულის ჭამაში“ ადანაშაულებს



საპარლამენტო ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ მთავრობას სარეზერვო ფონდებიდან ფულის „შეჭმაში“ ადანაშაულებს.

სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისთვის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტის განხილვისას ფრაქციის წევრებმა ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილეს პაპუნა პეტრიაშვილს მთავრობისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდებიდან გახარჯული თანხების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება მოსთხოვეს. მინისტრის მოადგილემ კი, დეპუტატებს განუცხადა, რომ თვის ბოლოს პარლამენტში ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია შევა, სადაც სარეზერვო ფონდებიდან გახარჯული თანხებიც იქნება გაწერილი.

„სარეზერვო ფონდებში ფული ნამდვილად არის. დღეის მდგომარეობით, ფონდებში 40 მილიონ ლარზე მეტია. სანამ ბიუჯეტში ცვლილება შევიდოდა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან კახეთში, სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთში სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის პირველი ეტაპისთვის 5 მილიონ ლარზე მეტი გამოიყო. სარეზერვო ფონდების დეტალურად ხარჯვის ანგარიში არ მაქვს წამოღებული, რადგან მე აქ ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელების განსახილველად მოვედი და არა სარეზერვო ფონდებზე სასაუბროდ“ – აღნიშნა პეტრიაშვილმა.

მინისტრის მოადგილის გამოსვლას ჯონდი ბაღათურია გამოეხმაურა და ფინანსთა სამინისტროსგან დეტალური ანგარიში მოითხოვა 60 მილიონი ლარის ხარჯვასთან დაკავშრებით, რომელიც მხოლოდ გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის და ბუნებრივი კატასტროფებისთვის უნდა იყოს გამოყენებული.

„მობრძანებული ხართ საბიუჯეტო ცვლილებებზე მხოლოდ იმიტომ, რომ სარეზერვო ფონდებში ფული უკვე შეჭმული გაქვთ და არ გინდათ ახლა ამაზე ისაუბროთ?! მაინტერესებს, რატომ იხარჯება სააკაშვილის ტაშ-ფანდურში და კონცერტებში ეს ფული“ – მიმართა ბაღათურიამ პეტრიაშვილს და იქვე მოუწოდა დაურეკოს „თავის უფროსს“ და სარეზერვო ფონდების ხარჯვითი ნაწილის მონაცემები მიაწოდონ.



ამას პეტრიაშვილის პასუხი მოჰყვა, რომელმაც ბაღათურიას განუცხადა, რომ მისი საქმეა ვის დაურეკავს და რას გააკეთებს.

„თქვენ არ ხართ ჩემი უფროსი მიმითითოთ რა გავაკეთო და ვის უნდა დავურეკო. თუ არ გინდათ ბიუჯეტის ცვლილებებზე საუბარი მაშინ დავამთავროთ. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ არ გაინტერესებთ, როგორ აპირებს ხელისუფლება სტიქიის შედეგების ლიკვიდაციას“ – მიმართა ბაღათურიას ფინანსთა მინისტრის მოადგილემ და აქვე აღნიშნა, რომ სარეზერვო ფონდებიდან ერთი თეთრიც არ მოხმარებია პრეზიდენტის მივლინებებს და ფონდის ხარჯები სრულიად კანონიერია.

ამასთან, ფრაქციის წევრებმა პეტრიაშვილს მიმართეს, რომ თუ მას არ აქვს კონკრეტულ კითხვებზე პასუხი, მაშინ კარგი იქნება სარეზერვო ფონდებიდან გახარჯული 60 მილიონის შესახებ მოხსენება ფინანსთა მინისტრს წარედგინა, რაზეც მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ სარეზერვო ფონდების ხარჯები ბიუჯეტის 6 თვის ანგარიშთან ერთად წარედგინება საკანონმდებლო ორგანოს.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# „თეთრები“, „თავისუფალი საქართველო“ და „ტრადიციონალისტები“ ერთიანდებიან

გულიკო ბალაძე

**არჩევნებისთვის გარკვეული პარტიები ერთად გამოსვლას გეგმავენ. „თავისუფალი საქართველო“, ტრადიციონალისტთა კავშირი და „თეთრებიც“ ბლოკს ქმნიან და არჩევნებში ერთი ბლოკით გამოდიან.**

— ჩვენ ვთანამშრომლობთ ტრადიციონალისტთა კავშირთან და პარტია „თეთრებთან“. სხვა პარტიებთან თანამშრომლობისთვისაც მზად ვართ, თუ ისინი ამ გადაწყვეტილებას მიიღებენ, — განაცხადა „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა კახა კუკავამ.




რა დონეზე ითანამშრომლებენ „თავისუფალი საქართველო“, ტრადიციონალისტთა კავშირი და „თეთრები“?

— ჩვენ მინიმუმ მაჟორიტარ კანდიდატებზე შევთანხმდით და ვქმნით საარჩევნო ბლოკს. ვაგრძელებთ მოლაპარაკებებს პროპორციული სიის ერთად ფორმირებაზე, — განაცხადა კახა კუკავამ.

წინასაარჩევნოდ ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციურ პარტიებზე სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ზეწოლა ხორციელდება. „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა აცხადებს, რომ „ხელისუფლება ყველაზე მეტ ზეწოლას სწორედ მათზე ახორციელებს. ასევე კოალიცია „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ ხორციელდება ფინანსური სანქციები. თუმცა, მილიარდერის პარტიის წინააღმდეგ ასეთი სანქციები ეფექტური ვერ იქნება“.

— ხელისუფლება რეალურად ზეწოლას მხოლოდ ჩვენს პარტიაზე ახორციელებს. ყოველ შემთხვევაში, ყველაზე სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ყველაზე მეტ ზეწოლას ხელისუფლება ახორციელებს სწორედ „თავისუფალ საქართველოზე“. სატელიტი პარტიების წინააღმდეგ არანაირი სანქციები არ გამოიყენება, ხოლო კოალიცია „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ გამოიყენება ფინანსური სანქციები, თუმცა, ყველას მილიარდერის პარტიის წინააღმდეგ ასეთი სანქციები ეფექტური ვერ იქნება. სამაგიეროდ, იგივე სანქციები გამოიყენება „ქართული ოცნების“ გარდა, მხოლოდ ერთი პარტიის — „თავისუფალი საქართველოს“ წინააღმდეგ, — განაცხადა კახა კუკავამ.

კახა კუკავას განცხადებით, ქვეყანაში ორი ოპოზიციური ძალაა, რომელიც რეალურად უპირისპირდება ხელისუფლებას. ეს არის „თავისუფალი საქართველო“ და „ქართული ოცნება“.

***— ბატონო კახა, რა არის ხელისუფლების თქვენთან დაპირისპირების მიზეზი?***

— „თავისუფალი საქართველო“ არის ერთადერთი რეალური ძალა საქართველოში. გააჩნია, რას ჩავთვლით ოპოზიციად. თუ ოპოზიციად ჩავთვლით იმას, ვინ არის კონფლიქტში ხელისუფლებასთან, მაშინ ქვეყანაში არის ორი ოპოზიციური ძალა — „თავისუფალი საქართველო“ და „ქართული ოცნება“. „ქართული ოცნება“, რეალურად, დაპირისპირებულია ხელისუფლებასთან. თუ ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობას დავუკვირდებით, ლათინურად „ოპუს“ ნიშნავს წინააღმდეგობას, დღეს ხელისუფლების კურსს და იდეოლოგიას წინააღმდეგობას უწევს მხოლოდ „თავისუფალი საქართველო“, ყველა პარტია ეთანხმება ყველაფერს — ხელისუფლების საგარეო პოლიტიკასაც, საშინაო პოლიტიკასაც, ხელისუფლების დამოკიდებულებას ეკლესიასთან, კულტურასთან, უბრალოდ, პრობლემა აქვს იმაზე, უნდა შეიცვალოს სახელები და გვარები ხელისუფლებაში.

***— რატომ ახორციელებს ხელისუფლება ყველაზე მეტ ზეწოლას თქვენზე, რეალურ მოწინააღმდეგედ მიგიჩნევთ?***

— რა თქმა უნდა. კარგად ვაცნობიერებთ, რომ დღეს მეორე ძალა არ არის „თავისუფალი საქართველო“. „თავისუფალი საქართველო“ არის მესამე ძალა, მეორე ძალას წარმოადგენს, „ქართული ოცნება“, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში იმ კურსს, რომელსაც საქართველოს მარიონეტული რეჟიმი ატარებს — პროამერიკულ კურსს, ლიბერალურ კურსს — მას „ქართული ოცნება“ საფრთხეს არ უქმნის. „ქართულ ოცნებას“ დეკლარირებული აქვს იგივე პრინციპები, რა პრინციპებიც დღევანდელ ხელისუფლებას აქვს როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში. რეალურად ამ კურსს საფრთხეს უქმნის „თავისუფალი საქართველო“.

***— „თავისუფალ საქართველოს“ რა შანსები აქვს საპარლამენტო არჩევნებში?***

— დღეს ჩვენ საპარლამენტო არჩევნებში ხმების 50%-ის აღების შანსი არ გვაქვს, მაგრამ ჩვენ გვაქვს შანსი, გადავლახოთ საპარლამენტო ბარიერი, ავიღოთ 10-12% ამ არჩევნებში. ჩვენ გვაქვს შანსი, რომ რეალურად შევცვალოთ საზოგადოებრივი აზრი. არც ერთი სხვა პოლიტიკური ძალა საზოგადოებრივი აზრის შეცვლას საქართველოში მიზნად არ ისახავს. დააკვირდით ყველა პარტიას, ვინ არის ავღანეთში ჯარის გაგზავნის წინააღმდეგი? — მხოლოდ „თავისუფალი საქართველო“. ვინ არის საქართველოს ნატოში ინტეგრაციისა და, შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიის დარღვევის წინააღმდეგი? — მხოლოდ „თავისუფალი საქართველო“. ვინ არის ბათუმში აზიზიეს მეჩეთის წინააღმდეგი? — მხოლოდ „თავისუფალი საქართველო“. ვინ არის გეიაღლუმების წინააღმდეგი? — მხოლოდ „თავისუფალი საქართველო“.

***— ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის წინააღმდეგი საქართველოში ყველა პარტიაა.***

— მე ვთქვი ნატოსთან ერთად-მეთქი. რა თქმა უნდა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ყველა პარტია უჭერს მხარს, მაგრამ ნატოში ინტეგრაციის წინააღმდეგი მხოლოდ „თავისუფალი საქართველოა“. მოდით, კითხვა ისე დავსვათ, როგორც ენდიაიმ დასვა. ენდიაიმ კითხვა ასე დასვა: თუკი ასარჩევი იქნება ტერიტორიულ მთლიანობასა და ნატოს შორის, რომელს აირჩევთ? მხოლოდ „თავისუფალმა საქართველომ“ თქვა პასუხი გარკვევით: რა თქმა უნდა, ტერიტორიული მთლიანობა. ყველა სხვა პარტია სცემს ზოგად პასუხს, არაპირდაპირ პასუხს, რომ საკითხი არ უნდა დადგეს ასე.

# ვარძელაშვილის დელეგაციის წევრებმა დანიაში იქურდეს“



„ვარძელაშვილის დელეგაციის წევრებმა დანიაში იქურდეს“, — ამ სათაურით სტატიას შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი აქვეყნებს.

ცენტრის ცნობით, ამა წლის 19-21 ივლისს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანამშრომლები, გორის ,,დილას“ გულშემატკივრები და გორის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები (სულ 47 კაცი) დანიის ქალაქ ორჰუსში იმყოფებოდნენ. ევროპის ლიგაზე გორის ,,დილა“ ქალაქ ორჰუსის საფეხბურთო გუნდს შეხვდა და ანგარიშით 2:1 დაამარცხა. საქართველოში დელეგაცია 3 კაცით ნაკლები დაბრუნდა. როგორც შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრს აცნობეს, მინისტრ ლადო ვარძელაშვილის დელეგაციის 2 წევრი დანიაში დააკავეს, ხოლო ერთი წევრი — დელეგაციიდან გაქრა. სტატიის მიხედვით, გორის ,,დილას“ ერთ-ერთმა ქართველმა გულშემატკივარმა, გვარად გიორგობიანმა დანიის სუპერმარკეტიდან მაისურები და ქამარი მოიპარა. ის თანხმლებ პირებთან ერთად დააკავეს, დაკითხვაზე გადაიყვანეს და თბილისის რეისს არ გამოაყოლეს. მას შესაბამისი ჯარიმა დააკისრეს. დელეგაციის კიდევ ერთი წევრი ფარულად ჩეხეთში გადაფრინდა და ევროპაში დარჩა.

,,ჩვენ აღნიშნული ინფორმაციის გადასამოწმებლად თითქმის ყველა იმ წევრს მოვუყევით, ვინც აღნიშნულ დელეგაციაში გორიდან იმყოფებოდა. ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციას არცერთი მათგანი უარყოფს. გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის უფროსი კახა ტოლიაშვილი, რომელიც დელეგაციის წევრი იყო, შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში აცხადებს, რომ მან არ იცის დეტალები, თუ რატომ დააკლდა დელეგაციას 3 წევრი.

,,მე არაფერი ვიცი. კომენტარს არ ვაკეთებ. თუ რამე მოხდა, გაარკვიეთ ორგანიზატორებთან, ვინც ამ ყველაფერს ორგანიზატორობას უწევდა“ — გვიპასუხა კახა ტოლიაშვილმა.

,,კომენტარს არ ვაკეთებ,... კომენტარს არ ვაკეთებ,... კომენტარს არ ვაკეთებ“ — გვიპასუხა შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილემ ზურაბ ჩხეიძემ, რომელიც ასევე დანიაში გორის ,,დილას“ საგულშემატკივროდ იმყოფებოდა.

,,მე ერთი რაც შემიძლია გითხრათ, ჩვენი საკრებულოს წევრები ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით არ გამგზავრებულან დანიაში. გავიგეთ, რომ რაღაც წვრილმანი ხულიგნობას ჰქონდა ადგილი დანიაში, მაგრამ დეტალები არ ვიცით“, — გვითხრა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ თემურ ხაჩიურმა.

,,ძალიან მწირი ინფორმაცია გვაქვს იმის შესახებ, რაც დანიაში მოხდა. არა ვართ საქმის კურსში“ — გვითხრა ,,ნაციონალური მოძრაობის“ გორის ორგანიზაციის შტაბის უფროსმა ზურაბ ჩინჩილაკაშვილმა იმ დროს, როდესაც მის შტაბში იმყოფებოდნენ დანიის დელეგაციის წევრები კახა ტოლიაშვილი და ალექსანდრე ოდიშვილი. ალექსანდე ოდიშვილი ცნობილი მერეთის ინციდენტის დროს იყო დაკავებული, თუმცა ის დანიაში დელეგაციას გააყოლეს“, — ნათქვამია სტატიაში. კომენტარს არ აკეთებს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ლადო ვარძელაშვილის პირველი მოადგილე გიორგი ავალიანი.

**მედიანიუსი**

# პეტრე მამრაძე არჩევნებში მონაწილეობაზე უარს აცხადებს

გულიკო ბალაძე

**გუშინ მწვანეთა პარტიის ლიდერმა გიორგი გაჩეჩილაძემ და პარლამენტის წევრმა პეტრე მამრაძემ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. მათ ჟურნალისტებს აცნობეს, რომ პეტრე მამრაძე მწვანეთა პარტიას დაუბრუნდა.**

ამრიგად, ამ გზით მწვანეთა პარტია გახდა კვალიფიციური სუბიექტი და ხელისუფლება მის არჩევნებში მონაწილეობას ხელს ვეღარ შეუშლის, რადგან, წესით, თუ პარტიას პარლამენტში წარმომადგენელი ჰყავს, მას არჩევნებში მონაწილეობისთვის აღარ სჭირდება 50 ათასი ხმის შეგროვება და ცესკო-ში წარდგენა.

წლების განმავლობაში მწვანეების მიერ წარდგენილი სიების გაბათილებას ხელისუფლება ადვილად ახერხებდა და მწვანეთა პარტიას არჩევნებში მონაწილეობაში ბარიერებს უქმნიდა. ამჯერად, როგორც ჩანს, ხელისუფლებას ეს ხრიკი აღარ გაუვა.

— მწვანეთა პარტიას დაუბრუნდა თავისი ძველი წევრი, ძალიან დიდი ინფორმაციისა და დიდი გამოცდილების მქონე პიროვნება პეტრე მამრაძე. ჩვენ ერთად ძალიან მძიმე დღეები გამოვიარეთ 1992-95 წლებში, როცა პარლამენტში ვიყავით. გახსოვთ, რა დღეები იყო. არ ვიცი, საქართველოში კიდევ არსებობს თუ არა თავისი დარგის ისეთი პროფესიონალი, როგორიც ბატონი პეტრეა. ამიტომ მწვანეთა პარტიისთვის ბატონი პეტრეს დაბრუნება უზარმაზარი შენაძენია. ჩვენ ერთად პარტიის გაძლიერებისთვის დიდ ნაბიჯებს გადავდგამთ, — განაცხადა გიორგი გაჩეჩილაძემ.

გიორგი გაჩეჩილაძემ მწვანეთა პარტიის მანდატი პეტრე მამრაძეს ოფიციალურად გადასცა.

პეტრე მამრაძის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია.

— მე, პირადად, ისევე, როგორც ჩვენი ფრაქცია პარლამენტში, ვარ „ქართული ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი. ასევე ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი და სტრატეგიული პარტნიორები არიან მწვანეები და პირადად ბატონი გია გაჩეჩილაძე. ბოლო წლებში ბატონ გიასაგან გვესმოდა პრინციპული, ძალიან მწვავე, მაგრამ ყოველთვის დასაბუთებული კრიტიკა იმისა, რასაც ჩადის საქართველოში მმართველი რეჟიმი. რეჟიმი, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ავტორიტარულ კლეპტოკრატიას, — განაცხადა პეტრე მამრაძემ.

პეტრე მამრაძის განცხადებით, დღევანდელი ხელისუფლება არღვევს კანონმდებლობას, ანადგურებს და ფეხქვეშ თელავს საქართველოს ბუნებას.

— გიორგი გაჩეჩილაძე იყო პირველი, რომელმაც ნარკოტრაფიკზე ილაპარაკა და შემზარავი ციფრები დადო, რომელიც საერთაშორისო ექსპერტების მიერ არის დამტკიცებული. გიორგი გაჩეჩილაძე მხარში ედგა ბიძინა ივანიშვილს მისი პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ. საქართველოში არის მრავალი ოჯახი, რომელიც იმის გამო მივა საარჩევნო ყუთთან, რომ მწვანეებს მისცეს ხმა, — ასე აფასებს მწვანეებს პეტრე მამრაძე.

აღსანიშნავია ის, რომ პეტრე მამრაძე ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს, არც მაჟორიტარულად და არც პროპორციული სიით. მისი მიზანია მწვანეთა პარტიის გაძლიერება.

— ჯერ კიდევ 2008 წელს გამოვაცხადე, რომ ამ არჩევნებში მონაწილეობას არ ვაპირებ. მე ჩემს თავს ვხედავ არასამთავრობო სექტორში. ამ მხრივ ძალიან ბევრი დამიგროვდა. ომზე წიგნი გამოვეცი. მზადდება კიდევ სხვა ჩემი პუბლიცისტიკა და ანალიტიკა. მწვანეთა პარტიას დავეხმარები, — ასეთია პეტრე მამრაძის გადაწყვეტილება.

გიორგი გაჩეჩილაძე ადასტურებს, რომ მწვანეთა პარტია „ქართული ოცნების“.პოლიტიკური პარტნიორია.

— ჩვენ ვართ სტრატეგიული პოლიტიკური პარტნიორები „ქართული ოცნებისა“. ჩვენ მხარს ვუჭერთ ბიძინა ივანიშვილს, როგორც საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს. ჩვენი ურთიერთობების საკითხები (მაჟორიტარებთან დაკავშირებით თუ სხვა თემებზე), შემდგომი შეხვედრებისას გადაწყდება. ჩვენ გვქონდა ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრები და მომავალში კიდევ გვექნება, როცა ოფიციალურად გამოცხადდება არჩევნების თარიღი, — აცხადებს გიორგი გაჩეჩილაძე.

კითხვაზე, იქნება თუ არა მწვანეთა პარტია „ქართული ოცნებაში“ თუ რა ფორმით ითანამშრომლებენ?



გიორგი გაჩეჩილაძე პასუხობს, რომ ეს საკითხები მომავალი მოლაპარაკების საგანია, იქნება ეს კოალიციის წევრობა თუ მაჟორიტარული ფორმით თანამშრომლობა.

პეტრე მამრაძის თქმით, ბიძინა ივანიშვილი მიესალმება მის გადაწყვეტილებას.

პეტრე მამრაძე აცხადებს, ხვალ რომ არჩევნები დაინიშნოს, ხელისუფლება ვერანაირად აღუდგება წინ მწვანეთა პარტიის მონაწილეობას არჩევნებში.

— მწვანეთა პარტია ჩაითვლება კვალიფიციურ სუბიექტად. საკმარისია, პარტიას ჰყავდეს წევრი პარლამენტში, რომ ის კვალიფიციურ სუბიექტად ჩაითვალოს. ჩემი სახით პარტიას ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში და ვერაფერი გააჩერებს, რომ არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა.

პეტრე მამრაძემ განაცხადა, რომ 2008 წელს ჩამოაყალიბა არასამთავრობო ორგანიზაცია, მაგრამ, გახდა რა პარლამენტის წევრი, გაყინა ამ კუთხით მოღვაწეობა. ოქტომბრის შემდეგ ის ამ კუთხით მოღვაწეობის განაახლებს.

— საუბარია ძალიან საინტერესო საქმეზე — ე.წ. რისკების შეფასებაზე ქვეყნისათვის. არსებობს სტანდარტული და ძალიან საინტერესო მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით, რისკების შეფასება ყველა ქვეყანაში კეთდება. საქართველოში შიგნით მსგავსი სამუშაო არ ჩატარებულა. ჩვენ გვაქვს ამის პრეტენზია გიორგი გაჩეჩილაძესთან ერთად. მისი სახით ჩვენ გვერდითაა ყველაზე ახალგაზრდა მეცნიერებათა დოქტორი მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში. ორგანიზაციას ერქმევა „სტრატეგიული მართვის ინსტიტუტი“, სადაც ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე რისკების შეფასებასა და ანალიზს მოახდენენ, — ასეთია პეტრე მამრაძის გეგმები.

შორენა კოწოწაშვილი

# სად წავა ივანიშვილის გადახდილი 10 მლნ ლარი?!

**„ქართული ოცნების“ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციის ავტორი, დემურ გიორხელიძე, რომელიც კოალიციაში დამოუკიდებლობის სტატუსს ინარჩუნებს, აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილის მრჩევლებმა შეცდომა დაუშვეს, რომელიც ხელისუფლებამ გამოიყენა.**



– ხელისუფლება დღეს უკონტროლოა. არც საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმები მუშაობს, არც სახელმწიფო ინსტიტუციონალური მექანიზმები, ვთქვათ, როგორიცაა კონტროლის პალატა. კონტროლის პალატა განეიტრალებულია. ის ძალიან უსუსურია სახელმწიფოს ფინანსებისა და სახელმწიფო ფუნქციების შესრულების კონტროლის თვალსაზრისით. სამაგიეროდ, კონტროლის პალატა გამოყენებულ იქნა, როგორც მექანიზმი, პოლიტიკური ოპონენტების შესავიწროებლად და ამას ხელისუფლება წარმატებით აკეთებს, თუმცა ამას ძალიან მძიმე შედეგები მოჰყვება, იმიტომ რომ ინსტიტუტები ნადგურდება და ინსტიტუტები კარგავს ფუნქციას, რომელთა გარეშეც სახელმწიფოს ნორმალური საქმიანობა შეუძლებელია. ამიტომ აქ ხელისუფლებამ სერიოზული შეცდომა დაუშვა. რაც შეეხება ხელისუფლების ფინანსებს, არა მგონია, რომ მას რაიმე პრობლემები ჰქონდეს. თუკი დასჭირდება, სააკაშვილი გარეთაც მოიძიებს ფულებს. ამიტომ ხელისუფლების პრობლემის შესახებ საუბარი, რომ მას საარჩევნოდ რამე ფინანსური პრობლემები შეიძლება ჰქონდეს, უბრალოდ, არასერიოზულია. ისეთი პოლიტიკური ლიდერის გამოჩენა, რომელსაც ფინანსური შესაძლებლობები ფანტასტიკურად მაღალი აქვს, ძალიან სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ხელისუფლებაში. რადგან ეს ფინანსები რაციონალურად და კონსტიტუციურ ფარგლებში გამოყენებული ეფექტიანად იმუშავებს. ამიტომ ხელისუფლებამ, იმის ნაცვლად, რომ წესიერი თამაშის წესები შემოეღო პოლიტიკაში, გადავიდა იმაზე, რასაც პრიმიტიული მოქმედებები ჰქვია, ანუ დაიწყო ოპონენტის ფინანსური განადგურება, რომელიც უშედეგო იქნება, – აცხადებს დემურ გიორხელიძე. მისი თქმით, არჩევნებს არა ფინანსები, არამედ ის ადამიანები იგებენ, ვინც ზუსტად იციან ადამიანების განწყობები. ეს განწყობები კი აშკარად ოპოზიციურია.

**გთავაზობთ ინტერვიუს დემურ გიორხელიძესთან.**

***– ბატონო დემურ, რას იტყვით ქვეყანაში შექმნილ საკმაოდ დამძიმებულ ვითარებაზე, საით მიდის პოლიტიკური პროცესი?***

– მე ვფიქრობ, რომ სიტუაცია ძალიან სიმპტომატურია და ძალიან ბევრი საფრთხის შემქმნელია, რადგან ქართული სინამდვილე, როგორც ჩანს, ვერ გუობს ნორმალურ პოლიტიკურ პროცესს, ვერ გუობს პოლიტიკურ კონკურენციას, ნორმალური დისკუსიის ფარგლებში პოლიტიკურ პაექრობას და ისევ კარგად გატკეპნილი გზით მიდის, ანუ ორპოლუსიანი დაპირისპირება: ერთი – მთელი ქვეყნის დამაქცევარი, მეორე – ხელისუფლება, ქვეყნის აღმშენებელი. ასე იყო 1995 წლიდან და სცენარი მოძებნილია, ტექნოლოგია მოძებნილია. ხელისუფლება კვლავ პოლარიზაციას ახდენს და მისი მოქმედებები, პოლიტიკური ოპონენტების შეზღუდვის თვალსაზრისით, ფინანსური შესაძლებლობების შეზღუდვის თვალსაზრისით, უბრალოდ, ყველანაირ ზღვარს სცილდება. მაშინ, როცა შეიძლებოდა მიღებულიყო ცივილიზებული კანონი, რომ ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის შემოწირულობანი მათი მხარდამჭერების მიერ ღია უნდა ყოფილიყო და გარკვეული ბჟენი უნდა ყოფილიყო ოპონენტების შეზღუდვის თვალსაზრისით, ფინანსური შესაძლებლობების შეზღუდვა როგორც ხელისუფლებაში მყოფი პარტიისთვის, ისე ოპონენტი პარტიისთვის. მაშინ ეს ძალიან ცუდი სიტუაცია, რომელსაც ძალიან ცუდი რეზონანსი აქვს მსოფლიოში და ყველა ყველაფერს ხვდება, აღარ გვექნებოდა.

***– თქვენ ფინანსები ახსენეთ. როგორც ჩანს, ხელისუფლებას ბიძინა ივანიშვილის ფინანსები აფრთხობს. ივანიშვილთან, როგორც პოლიტიკურ ოპონენტთან ბრძოლაში, მხოლოდ დიდი ფინანსური რესურსის ფაქტორი თამაშობს დიდ როლს?***

– არა, არ თამაშობს ფინანსური ფაქტორი, თუმცა ეს ძალიან მნიშვნელოვანია. საქმე ის არის, რომ ბატონი ივანიშვილის ფინანსები გახსნილია და ცნობილია, მაშინ როცა 2003-2003 წლებში სრულიად გაურკვეველი ფინანსები შემოდიოდა ქვეყანაში და ის პოლიტიკურ ოპონენტს მაშინდელი ხელისუფლის სიტყვის გამო და წაქეზებისა და მხარდაჭერის გამო ხმარდებოდა. ასე რომ, გარედან იყო ერთი ფასადი, რეალურად იყო სხვა ფასადი. უკანონობა ის იყო. დღეს აქ არანაირი კანონების დარღვევა არ არის, რადგან ადამიანს საკუთარი ფული გააჩნია, ლეგალიზებული ფულია. არავის ეჭვი ამ ფულის მიმართ არ გააჩნია. მაგრამ ფინანსური მხარე მეორე ფაქტორია. ყველაზე საშინელი, რაც ჩვენს დღევანდელ სინამდვილეშია, ის არის, რომ ყველა, ვინც განსხვავებულ აზრზეა, რუსეთის აგენტია. ყველა არის ის პოლიტიკური ძალა, რომელიც თურმე ქვეყანას სადღაც ექაჩება, არადა, ვერავინ ვერსად ამ ქვეყანას ველარ დაექაჩება, ვერავინ ამ ქვეყანას ვერაფერს შეუერთებს, იმიტომ რომ არავინ შეგიერთებს, ძალიანაც რომ მოინდომო. ვერავინ ამ ქვეყანას ვერ დააქცევს, ძალიანაც რომ მოინდომოს და არც არავინ არის დამქცევი, პირიქით, იგი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და ადამიანთა გარკვეული ჯგუფები სხვადასხვანაირად, მაგრამ ფიქრობენ, როგორ გამოიყვანონ საკუთარი ქვეყანა ამ მდგომარეობიდან. საქართველო არ არის ის ქვეყანა, რომ 22 წელია მასზე სხვა ქვეყნის აგენტები დაშლიგინობდნენ და ქვეყანას ანგრევდნენ. სწორედ უპასუხისმგებლო პოლიტიკამ მიიყვანა ამ სავალალო მდგომარეობამდე საქართველო. ჯერ კიდევ არის შანსი, რომ იგი გამოყვანილ იქნეს აქედან. ასე რომ, საქართველოში პოლიტიკური ცხოვრება დღეს მტრების შეჯიბრებაა თითქოსდა, არადა, მტერი აქ არავინ არის. უბრალოდ, ადამიანები სხვადასხვანაირად ფიქრობენ და ტექნოლოგია, რომელიც ხელისუფლებამ აირჩია და საზოგადოებრივი აზრის შექმნის მიზნით საზღვარგარეთ და განსაკუთრებით დასავლეთში იგი იმ ხერხს მიმართავს, რომელიც აბსოლუტურად გაუმართლებელია, რომ ეს არის შოვინისტების ქვეყანა, ეს არის ჩამორჩენილი ქვეყანა და მხოლოდ ეს ჯგუფია პოლიტიკური კულტურისა და დემოკრატიის მატარებელი, არის სრულიად დამღუპველი ტექნოლოგია,

რომელიც ძალიან დააზიანებს ხელისუფლებას და უკვე ძალიან მაგრად აზიანებს საქართველოს სახელმწიფოს.

***– რადგან საერთაშორისო ფონს შევეხეთ, ევროპარლამენტში ივანიშვილის მისამართით გაკეთებულმა განცხადებებმა ქვეყნის შიგნით დიდი ხმაური გამოიწვია. ეს განცხადებები არჩევნების შედეგებზე გავლენას იქონიებს?***

– სიმართლე გითხრათ, თვითონ ევროპარლამენტში როდესაც ეს დებატები მზადდებოდა, ოპოზიციურ მხარეს უნდა ეფიქრა იმაზე, რომ ხელისუფლებას იქ სერიოზული ლობი ჰყავდა. არადა, საქართველოშიც არის ის პოლიტიკური ძალები, არიან პოლიტიკაში მყოფი ადამიანები, რომლებიც ევროპარლამენტში პერსონალურად იცნობენ და საუკეთესო ურთიერთობები აქვთ ამ ადამიანებთან, ამ პარტიებთან უკვე საკმაო ხანია. ამ ძალების გამოყენება იყო საჭირო. ფაქტობრივად, ოპოზიციური ძალა დებატებში ჩანდა აბსოლუტურად მოუმზადებელი და არა იმ შემადგენლობით, რომლითაც უნდა ჩასულიყო. ეს ჩემი პირადი აზრია. შედეგი იყო, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდი. ევროპარლამენტში განხილვები უმძიმეს შთაბეჭდილებას ტოვებდა, იმიტომ, რომ იყო არაადეკვატური; გამომსვლელები იყვნენ აბსოლუტურად როგორც პროპაგანდისტული განყოფილების ვიღაც პაიკი თანამშრომლები, ისეთ დონეზე ასრულებდნენ ინსტრუქციებს, რომელიც, ვფიქრობ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მისცა მათ. მე ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებას უფრო მაღლა ვაყენებ, ვიდრე ევროპარლამენტის იმ დეპუტატებს, რომლებიც იქ იდიოტურად გამოდიოდნენ. ასე რომ, რეალობა ასეთია, ძალიან მძიმე შთაბეჭდილებაა, მაგრამ, რა თქვეს ევროპარლამენტში საქართველოზე, ამას ოქტომბრის არჩევნებზე არანაირი გავლენის მოხდენა არ შეუძლია. ყველაფერს ქართველი ხალხის მონდომებულობა, პასუხისმგებლობა და აქტიურობა განსაზღვრავს. ქართველი ხალხის ხელშია მათი მომავალი და არა ევროპარლამენტარების ხელში.

***– ეს გასაგებია, თუმცა ხელისუფლება გვიმტკიცებს, რომ ივანიშვილი ამომრჩევლის მოსყიდვას ახორციელებს. ამ ფონზე ივანიშვილის მხრიდან დათმობად ხომ არ აღიქმება ის ფაქტი, რომ მან 10 მლნ გადაიხადა სასამართლოს მიერ მითითებულ ანგარიშზე?***

– მე ვფიქრობ, რომ ივანიშვილის მიერ 10 მლნ-ის გადახდა არ უნდა ყოფილიყო მიბმული იმ პროპაგანდას, რაც იქნა გაწეული, რომ ეს არის დახმარება. თუ ჯარიმას იხდის ბატონი ივანიშვილი, მას უნდა გადაეხადა ჯარიმა. ბიუჯეტში შესული ფული სად წავა, ამას უკვე ხელისუფლება განსაზღვრავს. დღევანდელი სიტუაციით, ეს 10 მლნ არანაირი გარანტია არ არის, რომ მაინცდამაინც ის 10 მლნ იქნება, რომელიც დაზარალებულებს მოხმარდება, იმიტომ რომ ბიუჯეტში ფული საკმარისად იყო იმისთვის, რომ ამ ღონისძიებებზე ყოფილიყო მიმართული. ამიტომ საკმაოდ გაუგებარი სიტუაცია შეიქმნა. არ ვფიქრობ, რომ ვინც ეს ურჩია ბიძინა ივანიშვილს, მან სწორი რჩევა მისცა.

***– ანუ ივანიშვილმა ამ ნაბიჯით შეცდომა დაუშვა?***

– არა, მე ამას შეცდომას არ დავარქმევ. მე ვფიქრობ, რომ, უბრალოდ, მიბმა არ იყო საჭირო.

***– ბატონო დემურ, შეიძლება ვთქვათ, რომ ივანიშვილის ეს პიარნაბიჯი სათანადო შედეგებს ვერ გამოიღებს?***

– რატომ, იცით? შეუძლებელია, ბიუჯეტში შესული თანხა საით მიემართება, გაიგო, როცა ერთდროულად ბიუჯეტში უამრავი გადახდები ხდება ამ პერიოდში. ამიტომ არანაირი გარანტია არ არის, რომ ის გადახდილი 10 მლნ მაინცდამაინც სტიქიით დაზარალებულებს მიუვათ და არ წავა, მაგალითად, ჯარის ხელფასებზე ანდა პენსიებზე.

***– საერთოდ, რას იტყვით იმ პროცესზე, რასაც ამ სტიქიური უბედურების შემდგომ ვხედავთ? რას იტყვით ხელისუფლების ნაბიჯებზე და რამდენად სწორად შეაფასა ზარალი და საკომპენსაციო თანხა 1500 ლარი?***

– რაც შეეხება 1500 ლარს დაზარალებულებისთვის, ეს საკმაოდ უმნიშვნელო თანხაა. მე ვფიქრობ, ხელისუფლებას გაცილებით დიდი შესაძლებლობა ჰქონდა. რა თქმა უნდა, 100%-იანი ზარალის ანაზღაურების საშუალება ბიუჯეტს არ გააჩნია და არც იყო შესაძლებელი, მაგრამ მაქსიმუმის გაკეთება კი შეიძლებოდა. თუმცა, ამ უბედურებამ აჩვენა, რომ ქვეყანაში უამრავი რამ მოუწესრიგებელია სოფლის მეურნეობის სფეროში. ეს აღიარებულ იქნა კიდეც პრეზიდენტის მიერ. კარგია, თუ ამ მიმართულებით იფიქრებს ხელისუფლება. მაგრამ საქმე რა არის, იცით? რომ არა ეს წინასაარჩევნო პერიოდი, რომ არა მძლავრი პოლიტიკური ოპონენტის გაჩენა, რომელმაც აბსოლუტურად სულ სხვა სიბრტყეში გადაიყვანა ქართული პოლიტიკური ცხოვრება, ეს ხელისუფლება არაფერს შეცვლიდა. იგი კვლავ სინგაპურზე ილაპარაკებდა, კვლავ აყვავებულ ქვეყანაზე ისაუბრებდა, ამ დროს, ამ მოკლე პერიოდმა, ამ პოლიტიკურმა ოპონირებამ აჩვენა, რომ ქვეყანაში უამრავი პრობლემაა. რატომ დაემთხვა ერთმანეთს ოპოზიციის სტრატეგიული ხედვები და ხელისუფლებამაც, ფაქტობრივად, იგივე გაიმეორა. მე სულაც არ ვფიქრობ, რომ ეს ცუდია, იმიტომ,რომ რეალობა ერთია. პრობლემები ერთია ქვეყანაში. ჩვენც არ მოგვიგონია, როდესაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციას ვწერდით ეს პრობლემები. რადგან ხელისუფლებამ იგრძნო, რომ ოპონენტს გააჩნდა სერიოზული ხედვები, იგივე გაიმეორა. არა თუთიყუშივით გაიმეორა, არამედ გააზრებულად გაიმეორა, იმიტომ რომ სხვა პრობლემებს ის ვერ მოიგონებდა. კარგია, რომ ორივე მხარის ხედვები ერთმანეთს ემთხვევა. სხვანაირად იქნებოდა მართლაც სასაცილო მდგომარეობა, როცა რეალობა ერთი გვაქვს და ორი პოლიტიკური ძალა მას სხვადასხვანაირად ხედავს.

***– ბანკირების რიგი დადგა ბიუჯეტში ფულის ჩასარიცხად სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლადო. ეს ჰუმანური ჟესტია ბანკირებისა თუ ხელისუფლების მორიგი წნეხი ბიზნესზე?***

– ბანკირების აქტიურობა მთლად გასაგები არ არის ჩემთვის დახმარების თვალსაზრისით. ეს ისედაც უნდა ყოფილიყო, პრეზიდენტს სულაც რომ არაფერი ეთქვა, პრობლემა აქ სხვა რამეა. აღმოჩნდა, რომ სოფელი დაუცველია, სოფლის მეურნეობა მთლიანად დაუცველია. მსოფლიოში ასე არ ხდება. სწორედ ამიტომ იქნა ნახსენები სადაზღვევო სისტემის შემოტანა სოფლად. სწორედ ამიტომაა კრედიტების დაწევაზე საუბარი. სწორედ ამიტომაა საუბარი იმ ინფრასტრუქტურულ უზრუნველყოფაზე, რომლის გარეშეც შეუძლებელი სოფელში რაიმეს გაკეთება. ვხედავთ, რომ სოფლის მოსახლეობა საკუთარი რისკის ფასად მუშაობს. ასე არ ხდება მსოფლიოში. ამ საშინელმა სტიქიურმა უბედურებამ ეს ყველაფერი ნათლად წარმოაჩინა და კარგია, რომ თქვა ის, რაც უნდა ეთქვა – ასე არ შეიძლება სახელმწიფოში. ასე არ ხდება. ასე გარიყული უზარმაზარი პოტენციალის მქონე ეკონომიკის სექტორი, როგორიც სოფლის მეურნეობაა, არ შეიძლება იყოს ამ მდგომარეობაში. ბანკები აუცილებლად გააქტიურდებიან, თუკი ხელისუფლება იმ ნაბიჯებს გადადგამს, რომელიც განაცხადა.

***– თქვენ ზემოთ ისე მიანიშნეთ, რომ ივანიშვილის მრჩევლებით, გარკვეულწილად, უკმაყოფილო ხართ. სწორად გავიგე?***

– მე არ გახლავართ ის ადამიანი, რომელიც მიკიბულ-მოკიბულად ლაპარაკობს. დიახ, მე უკმაყოფილო ვარ იმ მრჩევლებისა, რომლებმაც ჯარიმის გადახდა და დახმარება ერთმანეთს მიაბეს, იმიტომ რომ ეს ლოგიკურად აბსოლუტურად გაუმართლებელია.

***– ივანიშვილის სხვა ნაბიჯებშიც შეიტანდით ხარვეზს?***

– დიახ, აუცილებლად. როცა ამას საჭიროდ ჩავთვლი, აუცილებლად ვიტყვი მოურიდებლად, იმიტომ რომ მე გამოვდივარ საქმის ინტერესებიდან და არა კონკრეტულად მისი გარემოცვის რომელიმე წევრის მიმართ. პიროვნული მე არ მახასიათებს. რასაც შევხედავ, რომ საქმეს არ წაადგება, აუცილებლად ვიტყვი თქვენი მეშვეობით.

***– თინა ხიდაშელის თქმით, სხვა მექანიზმი არ არსებობდა, რომ ივანიშვილი დაზარალებულ მოსახლეობას დახმარებოდა. ასე არ არის?***

– რა თქმა უნდა, არსებობდა. დახმარება დახმარებაა, ჯარიმის გადახდა – ჯარიმის გადახდა.

***– ივანიშვილის ეს მანევრი კითხვის ნიშნებს ტოვებს?***

– დიახ, იმიტომ რომ ხელისუფლებამ ეს უზუსტობა გამოიყენა და უფრო საპირისპირო ინტერპრეტაციები მისცა და ეს ივანიშვილის მრჩევლებს უნდა გაეთვალისწინებინათ.



## ლევან ბეჟაშვილს ლაშა თორდია შეცვლის

პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის პოსტზე ლაშა თორდიას კანდიდატურის წარდგენა დაადასტურა. ამის შესახებ ბაქრაძემ გუშინ, აბაშაში ჟურნალისტებს განუცხადა.

ბაქრაძის თქმით, მან ამ პოსტზე ლევან ბეჟაშვილის შემცვლელად საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა თორდია შეარჩია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ბაქრაძეს კონსულტაციები ჰქონდა პრეზიდენტთან. დავით ბაქრაძე თორდიას კანდიდატურას ხვალ ბიუროს წარუდგენს და ბიუროს სხდომის შემდეგ, მას პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე კენჭისყრით დაამტკიცებენ.

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ კანონის მიხედვით, გენერალურ აუდიტორს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით, 5 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

ლევან ბეჟაშვილმა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება გუშინ გააკეთა, რომლის მიზეზად, კახეთში მომხდარი სტიქია და მისი მხრიდან მოსახლეობის გვერდით დგომის სურვილი დაასახელა.

ნიუსპრესი



# აფხაზეთში ყოველწლიურად 47 ბავშვით ნაკლები იბადება

თეა მარხვაიძე

**აფხაზეთში ძალიან რთული დემოგრაფიული ვითარებაა. ამ მხრივ აფხაზებს არც ომამდე ულხინდათ, ომის შემდეგ კი ვითარება კატასტროფული გახდა. დემოგრაფიული თვალსაზრისით სიტუაცია არც მშვიდობიან წლებში გამოსწორებულა. არაოფიციალური ინფორმაციით, დღეისათვის აფხაზეთში სომხები უფრო მრავლად სახლობენ, ვიდრე აფხაზები.**

ამაზე აფხაზები ღიად არ საუბრობენ. უფრო სწორად, არ საუბრობდნენ. ახლა კი აფხაზურ მედიაში აქტიურად დაიწყო ამ მტკივნეულ თემაზე საუბარი. ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ამ მხრივ ვითარება საგანგაშო არ არის, რისიც მოსახლეობას არ სჯერა.

აფხაზეთში არსებულ დემოგრაფიულ ვითარებას „ექსპერტთა კლუბის" წარმომადგენელი ირაკლი ცქიტიშვილი ეხმიანება.

– დემოგრაფიული სიტუაცია აფხაზეთში სულ უფრო და უფრო უარესდება. თვით აფხაზეთში ამასთან დაკავშირებით განგაშია გამოცხადებული და მხოლოდ ოფიციალური სტატისტიკა ლაღადებს ოკუპირებული რეგიონის მოსახლეობის 40-ათასიან მატებაზე. ოფიციალურ სტატისტიკას თვით აფხაზეთის მოსახლეობაც არ ენდობა. სამაგიეროდ, რეალური სურათი ციფრებში დროდადრო გაიელვებს ხოლმე, – ამბობს ცქიტიშვილი.

ამ თემაზე ყურადღება ექსპერტმა გამოცემა „რესპუბლიკა აფხაზიაში" გამოქვეყნებულმა წერილმა გაამახვილებინა. წერილის ავტორი აიზან ირზახანოვაა. სტატიას ასეთი სათაური აქვს „დაე, იყოს უფრო მეტი დღესასწაული!". აქ აღწერილია გაგრაში შექმნილი სიტუაცია.

თავის მასალაში ავტორს მოჰყავს 2011 წლის სტატისტიკური მონაცემები. ირზახანოვა აღნიშნავს, რომ გაგრის რაიონულ მმაჩ-ის ბიუროში 2011 წელს დარეგისტრირებული იყო მხოლოდ 160 წყვილი, რაც 2010 წლის მონაცემებზე ნაკლებია (თუ რამდენად, ავტორი არაფერს ამბობს). ამავე დროს დაიბადა 229 ბავშვი, რომელთა უმრავლესობა პირველი იყო თავთავიანთი ოჯახებისთვის. წლის განმავლობაში გარდაიცვალა 315 ადამიანი და მოსახლეობის მატების უარყოფითმა სალდომ 86 ადამიანი შეადგინა.

იმის გათვალისწინებით, რომ გაგრა დღეისათვის აფხაზეთის ყველაზე განვითარებული რაიონია, იქ არსებული სიტუაცია შეიძლება მივიღოთ ერთგვარ საზომ ერთეულად სრულიად აფხაზეთში არსებული სიტუაციის შესასწავლად. სოხუმში შესაძლოა სხვა მონაცემები იყოს, ვინაიდან მოსახლეობაც იქ მეტია, მაგრამ მთლიანად აფხაზეთში სურათი ალბათ მკვეთრად არ განსხვავდება გაგრის რაიონში არსებული სურათისგან. მაგალითად, ჯერ კიდევ 2007 წელს აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების პარტიის თავმჯდომარის მოადგილე, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ბესლან ბარათელია აღნიშნავდა, რომ ომის შემდგომ პერიოდში, 1993 წლიდან, დაბადებულთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა მხოლოდ 1995 წელს, როდესაც 2679 ბავშვი დაიბადა. მისი თქმით, აფხაზეთში ყოველწლიურად 47 ბავშვით ნაკლები იბადება, ვიდრე იმის წინა წელს.

ირზახანოვა კი თავის სტატიაში აგრეთვე გამოთქვამს სერიოზულ წუხილს იმის თაობაზე, რომ აფხაზეთში უკვე აღარავინ ჩქარობს იყოლიოს მეორე და მესამე ბავშვი, რაც, მისი განცხადებით, სამწუხარო კანონზომიერებაა. განსაკუთრებით კი ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ძალიან ბევრი ახალგაზრდა ადამიანი კვდება.

აფხაზეთის გზებზე არსებული სიტუაციის გავლენა დემოგრაფიულ მდგომარეობაზე საკმაოდ მაღალია. მხოლოდ 2011 წელს აფხაზეთში ავტოსაგზაო შემთხვევებში დაიღუპა 68 და დასახიჩრდა 257 ადამიანი (ოფიციალური მონაცემები). ბოლო სამი წლის განმავლობაში ავტოსაგზაო შემთხვევების გამო იქ სტაბილურად 68-69 ადამიანი იღუპება წელიწადში. მხოლოდ ოჩამჩირის რაიონში მიმდინარე წლის პირველ სამ თვეში დაიღუპა 7 ადამიანი, მთლიანად აფხაზეთში კი – 12. ამავე დროს 25-მა ადამიანმა მიიღო სხვადასხვა სახის დაზიანება. იმავე სამ თვეში აფხაზი ავტოინსპექტორების მიერ შედგენილ იქნა 8 363 ოქმი, მათ შორის 330 ოქმი ავტომანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში ტარებასთან დაკავშირებით.



– ოკუპირებული რეგიონის გზებზე არსებულ პრობლემებზე არაერთხელ თქმულა და დაწერილა თვით აფხაზეთში, თუმცა სიტუაცია არ შეცვლილა. საზოგადოებრივი პალატა და აფხაზური რეჟიმის სტრუქტურები არაერთხელ შეკრებილან მოქმედებათა გარკვეული სქემის გამომუშავების მიზნით, რათა როგორმე შეამცირონ ავტოსაგზაო შემთხვევები აფხაზეთის გზებზე. იყო სხვადასხვა პროგრამის შეთავაზება და აზრის გაცვლა. ერთ-ერთი დეტალურად გაწერილი პროგრამა აფხაზმა საზოგადო მოღვაწემ ბესლან კობახიამაც კი გაავრცელა და ის შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა სამოქმედო გეგმას, თუმცა კერძო აზრის მოსმენა იქ დღემდე ვერ ისწავლეს და არ აინტერესებთ. თუ აფხაზი ავტოინსპექტორი მზადაა ფული აიღოს, რათა გამოკვებოს საკუთარი ოჯახი და ამავე დროს ავიწყდება პოტენციური მკვლელებისა და მსხვერპლთა ოჯახები, აქ კანონი ვერაფერს გახდება. პრინციპში, იმდენად კანონებსა და რეგულაციებში არაა პრობლემა, რამდენადაც მათ აღსრულებაში, – აღნიშნავს ცქიტიშვილი.

მისი განცხადებით, აფხაზეთის დემოგრაფიული კატასტროფის კიდევ ერთ ქვაკუთხედს ნარკოდანაშაული წარმოადგენს.

– ნარკომანიისგან აფხაზეთში არანაკლები ახალგაზრდა იღუპება. თითქოს, აფხაზეთს დიდი ტერიტორია არ უკავია. ხალხიც მხოლოდ ორი მხრიდან შედის აფხაზეთში – რუსეთის და საქართველოს მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის მხრიდან. თითქოს, როცა ორი ასეთი პატარა მონაკვეთი გაქვს, ძალიან ადვილია ნარკოტიკული საშუალებების მოძრაობის გაკონტროლება, თუმცა, აფხაზეთიდან მიღებული ცნობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სიტუაცია უკეთესობისკენ არ იცვლება. ხშირად გვხვდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აკავებენ რუსეთიდან აფხაზეთში ნარკოტიკების შემტან პირებს. თან სად არ მალავენ მათ, რათა მოახერხონ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე გადატანა. რუსეთის ნარკოტიკებზე კონტროლის ფედერალური სამსახურის სოჭის განყოფილების უფროსი კონსტანტინე სკრიპნიკი თვითონ აღნიშნავდა, რომ ნარკოკურიერებს მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგიდან აფხაზეთში მეტადონი და ნაკროტიკების სხვა ახალი სახეობები მიაქვთ, იყენებენ სამალავებს, ელექტრონულ გადახდებს, მაგრამ მათი გამოვლენის ფაქტების რაოდენობა დიდი არ არის. თვით აფხაზეთშიც კონტროლი საკმაოდ სუსტია. არც კანონმდებლობა შეესაბამება რეალურ სიტუაციას. იქ ნარკომანებს დამნაშავეებად არ თვლიან. იჭერენ და უშვებენ. გასაღების წყაროების წინააღმდეგ ბრძოლა კი საკმაოდ დაბალ დონეზეა. უფრო მეტიც, გამოვლენილია რამდენიმე შემთხვევაც, როდესაც მილიციონერები პირადად გადასცემდნენ ნარკოტიკულ საშუალებებს დაკავებულებს. ეს ფაქტი ხაზს უსვამს, რომ ამ ბიზნესში ძალიან ბევრი ადამიანია ჩართული, და ნარკოტრაფიკთან ბრძოლა ბევრს რ აწყობს, – ირწმუნება „ექსპერტთა კლუბის" წარმომადგენელი.

ირაკლი ცქიტიშვილი მიიჩნევს, რომ აფხაზეთში არსებულ დემოგრაფიულ მდგომარეობაზე არა მარტო ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები ახდენენ გავლენას. მათი რაოდენობა საკმაოდ ბევრია.

– ესაა კრიმინოგენული სიტუაცია, განათლება, კულტურა, რწმენა, ჯანდაცვა, რომელიც ასევე საკმაოდ დაბალ დონეზეა. დემოგრაფიულ სიტუაციაზე ამჟამად ნაკლებ გავლენას ახდენს მიგრაციული პროცესი, თუმცა აქაც აღინიშნება იმ გასტარბაიტერთა ჩასახლების ფაქტები, რომელთაც რუსული კომპანიები ქირაობენ სხვადასხვა სამუშაოს საწარმოებლად. აფხაზეთში მიწა საერთოდ და სახლები კი უცხოელებზე არ იყიდება, რაც დღესდღეობით ხელს უშლის ამ რეგიონში რუსეთის მოქალაქეთა მასობრივ ჩასახლებას. ამავე დროს აფხაზები ტოვებენ აფხაზეთს, სადაც ვერავითარ პერსპექტივას ვერ ხედავენ თავიანთთვის და თავიანთი ოჯახებისათვის. თუმცა, ბოლო დროს უკვე ნაკლებად. როგორც ჩანს, ვისაც წასვლა უნდოდა და შეეძლო, უკვე წავიდა. 1992-1993 წ.წ. ომის შემდეგაც აფხაზებმა შეძლეს და გაყარეს იქიდან სხვადასხვა ჯურის კაზაკები და ჩრდილოკავკასიელები, რომელთაც თავიდან სახლებს ჰპირდებოდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ომში მონაწილეობისათვის. ეს ყველაფერი აფხაზებს მაინც ვერ შველის იმ დემოგრაფიული სიტუაციის გამოსწორებაში, რომლის წინაშეც ისინი დღეს აღმოჩნდნენ. ისინი ვერასოდეს შეძლებენ აფხაზეთის ლას-ვეგასად გადაქცევას ცხოვრების იმ საბჭოთა სტილით, რომლის შეცვლასაც ისინი არ ჩქარობენ. საკუთარი ფული მათ არ გააჩნიათ, მოსკოვი კი არ მისცემს მათ ამის გაკეთების საშუალებას – რატომ უნდა განავითაროს აფხაზეთი, როცა შეუძლია ჩაყაროს ფული სოჭის განვითარებაში. თანაც გაურკვეველია, როგორი იქნება ხვალ რუსეთისადმი აფხაზების დამოკიდებულება. ეს ყველაფერი კი ნიშნავს, რომ მათ მოუწევთ სიტუაციასთან შეგუება. მათ აქვთ და მომავალშიც ექნებათ მდგომარეობის საკუთარი რესურსებით გაუმჯობესების მცდელობა, თუმცა რაიმე პერსპექტივას პირი არ უჩანს, – აცხადებს ცქიტიშვილი.

აფხაზეთის ხელისუფლება დემოგრაფიული პრობლემის მოგვარებას სხვადასხვა ხერხებით ეცადა. სოხუმის წარმომადგენლებმა არაერთხელ სთხოვეს თურქეთში გადასახლებულ მუჰაჯირებს ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება. იქ მხოლოდ რამდენიმე ადამიანი დაბრუნდა.

ახლა სირიიდან ეპატიჟებიან აფხაზებს, მაგრამ, როგორც ამბობენ, რუსეთი ამის სასტიკი წინააღმდეგია. რუსებს ყველაზე მეტად აწყობს, აფხაზეთში რაც შეიძლება ნაკლები აფხაზი ცხოვრობდეს.

# ბიძინა ივანიშვილი: შესაძლოა, ბიზნესს საერთოდაც აღარ დავუბრუნდე"

თეა მარხვაიძე

ცოტა ხნის წინ ბიძინა ივანიშვილი ამტკიცებდა, პოლიტიკაში შემთხვევით მოვხვდი და სრულიად გააზრებულად წავალო. ერთ-ერთი ვერსიით ის პოლიტიკიდან წასვლას 2 წელიწადში გეგმავს. ესეც იმ შეთხვევაში თუ საპარლამენტო არჩევნებს მოიგებს. მიზნის მისაღწევად ყველაფერს აკეთებს. როგორც სჩანს ძალიან მოეწონა პოლიტიკა. თან იმდენად, რომ აქედან წასვლას აღარ აპირებს. ყოველშემთხვევაში გამოცემა „ბლუმბერგთან" საუბარში ამის შესახებ გააკეთა განცხადება.

ავტორიტეტულმა გადაცემამ ამ თემაზე სტატია მოამზადა სათაურით „ქართველი მილიარდერი პრემიერ-მინისტრობისთვის ბიზნესს ტოვებს".

ელენა ბედველის მიერ მომზადებული ეს საინტერესო სტატია საიტმა „ფორეიგნპრესმა" თარგმნა.

„ახალი თაობა" გთავაზობთ მასალას ოდნავი შემოკლებით.

ქართველი მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ მან შეიძლება დატოვოს ბიზნესი, მას შემდეგ რაც რუსული აქტივების გაყიდვიდან მიღებულმა თანხამ 1 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, რადგან ოქტომბრის არჩევნებში მიხეილ სააკაშვილის ალიანსთან დაპირისპირებისთვის ემზადება.

„მე არ დავუბრუნდები ბიზნესს რუსეთში და შესაძლოა, საერთოდაც აღარ დავუბრუნდე ბიზნესს" – განაცხადა ივანიშვილმა ინტერვიუში მისი პარტიის თბილისის ოფისში. აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების ინვესტირება სხვა ადგილებში მოხდება, განაცხადა მან დეტალების დაკონკრეტების გარეშე.

56 წლის ივანიშვილმა განაცხადა, რომ ის ეთანხმება ჟურნალ „ფორბს"-ის შეფასებას იმის თაობაზე, რომ მისი ქონება 6,4 მილიარდი დოლარია, რაც საქართველოს ეკონომიკის (14.4 მილიარდი დოლარი) თითქმის ნახევარია. მაისში მან გაყიდა თავისი რუსული აქტივები და წილები ბანკ „როსიისკი კრედიტში" მოსკოვში და სააფთიაქო ქსელ „დოქტორ სტოლეტოვში". კიდევ ერთი შეთანხმება, რომელიც რუსეთში მისი აგრარული ბიზნესის გაყიდვას უკავშირდება, რამდენიმე დღეში დასრულდება, განაცხადა მან, და დასძინა, რომ გაყიდვამდე თავისი ჰოლდინგები ამ ქვეყანაში არანაკლებ 2,5 მილიარდ დოლარად ჰქონდა შეფასებული.

არჩევნებამდე ივანიშვილი თავის ქონებას ყიდის, რადგან პრემიერმინისტრობას გეგმავს და სურს სუფთად წარსდგეს ქართული საზოგადოების წინაშე. აპრილში მან ოპოზიციური პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" შექმნა და პირობა დადო, რომ პოლიტიკაში ორი წლით დარჩება, შემდეგ კი დატოვებს მას, რათა გახდეს „ქართული საზოგადოების აქტიური წევრი".

## ქართული ინვესტიციები

ივანიშვილი ამბობს, რომ აღარ აკონტროლებს თავის მთავარ ინვესტიციებს საქართველოში მას შემდეგ, რაც ის მთავრობამ ჩამოართვა პარტიების დაფინანსების შესახებ კანონის დარღვევის ბრალდებით მრავალი მილიონი დოლარის ჯარიმის გადახდაზე უარის თქმის შემდეგ. მის ჰოლდინგში შედიოდა „ბანკი ქართუ", ქვეყნის სიდიდით მეექვსე კრედიტორი აქტივების მიხედვით, და წილი ადგილობრივ ბანკში, რომლის მთავარი მეწილეც ფეხბურთის ვარსკვლავი კახი კალაძეა.

პოსტ-საბჭოთა წლებში ივანიშვილი პერიოდულად, მოსკოვში, პარიზსა და საქართველოში ცხოვრობდა, ვიდრე 2002 წელს არ დაბრუნდა თავის მშობლიურ სოფელ ჭორვილაში, რომელიც თბილისიდან დაახლოებით 130 კილომეტრშია (80 მილი).

მილიარდერს საქართველოს პასპორტი 2004 წლიდან ჰქონდა, ვიდრე ის შარშან მთავრობამ არ ჩამოართვა. 2010 წელს ის საფრანგეთის მოქალაქეც გახდა. მან რუსეთის მოქალაქეობა დატოვა და საფრანგეთის მოქალაქედ დარჩა.

მაისში კანონმდებლებმა მიიღეს კანონი, რომელიც მილიარდერს აძლევს შესაძლებლობას, იმის მიუხედავად, რომ ის არ არის საქართველოს მოქალაქე, კენჭი იყაროს წელს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში. ივანიშვილმა არაერთხელ დაგმო ეს საკანონმდებლო ცვლილება, განაცხადა რა, რომ არასწორია კანონმდებლობის ერთ კაცზე მორგება და უარი განაცხადა სააკაშვილისთვის პირდაპირ მიემართა მისთვის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით.

## რუსული კავშირები

ივანიშვილი, რომელიც საარჩევნო კამპანიის ფარგლებში მოსახლეობას უფასო ჯანდაცვას, სოფლის მცხოვრებლებს საცხოვრებელი პირობების, სკოლების და პენსიების მიმართულებით სიტუაციის გაუმჯობესებას პირდება, სააკაშვილს თავისუფალი სიტყვის შეზღუდვასა და რუსეთთან ომის პროვოცირების გამო აკრიტიკებს. თავის მხრივ ქართველი პოლიტიკოსები მილიარდერს იმაში ადანაშაულებენ, რომ ის პრეზიდენტ პუტინის მოკავშირეა.

„ივანიშვილს უზარმაზარი სიმდიდრე აქვს რუსეთში", – ამბობს მმართველი პარტიის დეპუტატი გიორგი კანდელაკი. „ცხადზე უცხადესია, რომ ზოგიერთი ამ უმსხვილესი აქტივების და წილების გაყიდვა ვერ მოხერხდებოდა პუტინის პირდაპირი თანხმობის გარეშე; სინამდვილეში, ივანიშვილი პუტინს არასდროს აკრიტიკებს".

პოლიტიკაში შემოსვლის დღიდან, ივანიშვილი რჩება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესების მომხრე. ეს ურთიერთობები ამ ქვეყნებს შორის 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რესპუბლიკის გამო გაჩაღებული ხუთდღიანი ომის შემდეგ გაფუჭდა. ივანიშვილის აზრით, საქართველოს შეუძლია აღადგინოს კონტროლი სამხრეთ ოსეთსა და კიდევ ერთ სეპარატისტულ რეგიონზე, აფხაზეთზე – რუსეთმა ორივე მათგანი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა.

დემოკრატია, ეკონომიკა

„ამის მიღწევის გასაღები საქართველოშია და არა სხვაგან. ამისთვის საჭიროა აქ დემოკრატიის და ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესება, რითაც საქართველო საინტერესო გახდება, როგორც საცხოვრებლად, ასევე ინვესტიციების განხორციელების მხრივ" – ამბობს ივანიშვილი.

ივანიშვილის თქმით, უცხოეთში მცხოვრები ათასზე მეტი ქართველი მილიონერისთვის საკუთარ ქვეყანაში ინვესტიციის განხორციელებისთვის მოტივაციის გაჩენა მნიშვნელოვანი იქნება ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისთვის.

„დარწმუნებული ვარ, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ტვირთია რუსეთისთვის, და ამ საკითხზე ჩვენ შევძლებთ რუსეთთან საერთო ენის გამონახვას", განაცხადა ივანიშვილმა და უარყო მორიგი სამხედრო კონფლიქტის შესაძლებლობა, თუკი სააკაშვილი აუცილებელი თავდაცვის ზღვარს არ გადააჭარბებს.

ივანიშვილის შეფასებით, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, მან დაახლოებით 1.2 მილიარდი ლარი (727 მილიონი დოლარი) გასცა ძეგლების აღდგენასა და გზების მშენებლობაზე. მას სურს, შექმნას $200 მილიონიანი თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი თავისი $1 მილიარდიანი კოლექციისთვის, რომელშიც სხვა მხატვრების ნამუშევრებთან ერთად პიკასოც შედის.

მისი თქმით, პოლიტიკაში შემოსვლის შემდეგ 10 მილიონ დოლარზე მეტი დახარჯა.

## საპარლამენტო უმრავლესობა

მიუხედავად იმისა, რომ კვლევების თანახმად, არჩევნების წინ სააკაშვილის პარტია კარგავს მხარდამჭერებს, ხოლო ივანიშვილის ოპოზიციური კოალიციის რეიტინგი იზრდება, მილიარდერის მოკავშირეები საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვებას ვერ ახერხებენ. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელიც 16 ივლისს გამოქვეყნდა, სააკაშვილის ნაციონალურ მორაობას მხარს უჭერს გამოკითხულთა 36%, ხოლო ბიძინა ივანიშვილის პარტიას – 18%.

ივანიშვილმა განაცხადა, რომ კვლევებს არ ენდობა და რომ პარლამენტში უმრავლესობის მოპოვებას შეძლებს. მან დასძინა, რომ საზოგადოებრივი პროტესტისკენ მოწოდებისგან თავს შეიკავებს, თუკი არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი იქნება.

# კახეთში დაზიანებული სახლების 80%-ზე მეტს სახურავი აღუდგინეს

**ნინო ღვედაშვილი**



კახეთში სტიქიის ლიკვიდაციის შესახებ საგანგებო შტაბის სხდომა გაიმართა. ის საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა მოიწვია. მან მთავრობის წევრებისგან ლიკვიდაციის შესახებ უახლესი ცნობები მიიღო.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, კახეთში სახლების გადახურვის სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოების ძირითადი ნაწილი 20 დღეში დასრულდება.

პრემიერმა სასოფლო-სამეურნეო ზარალის დასათვლელად მთავრობის წევრებს 10 დღე მისცა. 1 სექტემბრამდე სამუშაო ჯგუფებმა იმ სტუდენტების სიაც უნდა შეადგინონ, რომლებიც დაზარალებული ოჯახებიდან არიან და სწავლის საფასურის გადახდას ვერ შეძლებენ. ასევე, კახეთის რაიონების გამგებლებმა მერაბიშვილისგან მიიღეს დავალება, რომ პირველ სექტემბრამდე იმ სტუდენტების აღრიცხვა დაასრულონ, რომელთა ოჯახებმა სტიქიის შედეგად იზარალეს, რათა მათ სწავლის საფასური სახელმწიფომ გადაურიცხოს. „ვაგრძელებთ მუშაობას. 10 დღეში უნდა დასრულდეს დაზარალებულთა სიები, შემდეგ გადავცეთ ჯანდაცვის სამინისტროს. კრედიტები გადავადებულია უკვე, თუ ვინმეს შეექმნა პრობლემები, უნდა მიმართონ გამგებლებს. 1 სექტემბრამდე კი უნდა დასრულდეს სტიქიის ზონიდან იმ სტუდენტების რეგისტრაცია, ვისაც სწავლის საფასური აქვთ გადასახდელი,“ – განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

ასევე, 10 დღეში უნდა დასრულდეს დაზარალებულების რეგისტრაცია, სიები კი ჯანდაცვის სამინისტროს უნდა გადაეგზავნოს. სამინისტრო ეტაპობრივად, დაახლოებით 1 კვირის განმავლობაში, ფულად კომპენსაციებს გასცემს.

საგანგებო სხდომაზე ისიც გაირკვა, რომ შხამ-ქიმიკატებისა და საწვავის დარიგება მთავრობამ უკვე დაასრულა. კახეთის უმეტეს რაიონებში სურსათის დარიგებაც დასრულებულია.

კახეთში სტიქიის შედეგად დაზარალებულმა მოსახლეობამ, რომლებიც სახელმწიფო დახმარების სიაში ვერ მოხვდნენ, ადგილობრივ გამგეობებს უნდა მიმართონ.

პრემიერ-მინისტრმა კახეთში შესრულებული და მიმდინარე სამუშაოების ანგარიში მოისმინა.

ბოლო ინფორმაციით, დაზიანებული სახლების 80%-ზე მეტს სახურავი აღუდგინეს. ასევე, მიმდინარეობს შხამქიმიკატების დარიგება. კახეთში სახლების გადახურვის სამუშაოები მიმდინარეობს და ამ სამუშაოების ძირითადი ნაწილი 20 დღეში დასრულდება.

სტიქიით დაზარალებულები ზარალს 15 აგვისტოსთვის სრულად მიიღებენ, ამის შესახებ პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა.

მანანა მანჯგალაძის განცხადებით, დღეს პარლამენტში საბიუჯეტო ცვლილებებთან დაკავშირებით საკომიტეტო მოსმენები იმართება, ასევე რიგგარეშე სხდომა არის დანიშნული.

„სავარაუდოდ, ეს მოხდება აგვისტოს პირველ რიცხვებში, კახეთის რეგიონიდან ჯანდაცვის სამინისტროში უკვე შევა დაზუსტებული სიები და 15 აგვისტოსთვის კომპენსაციების დარიგება დასრულებული იქნება“, – განაცხადა მანანა მანჯგალაძემ. მისი თქმით, მთლიანობაში საბიუჯეტო ცვლილებებით გათვალისწინებულია 160 მილიონი ლარის მობილიზება-გადანაწილება.

პრეზიდენტის პრესსპიკერის განცხადებით, ბიუჯეტში პრაქტიკულად ახალი პროგრამა შეიქმნა და მის ფარგლებში 50 მილიონით დაფინანსდება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები. მათ შორის, დაზიანებული სახლების რეაბილიტაცია, დაზარალებული მოსახლეობის საკვები პროდუქტებით მომარაგება, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მფლობელებისთვის კომპენსაციების გადაცემა.

მანჯგალაძის განცხადებით, გათვალისწინებულია როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი და გადაუდებელი დახმარების პროექტები, რომლებიც მთლიანობაში 160 მილიონ ლარს შეადგენს.

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის მიერ ბიუჯეტში 10 მილიონის გადარიცხვას, ეს თანხა ჯერჯერობით არ არის დარიცხული. კოალიცია „ქართული ოცნების“ პრესსამსახურისთვის უცნობია, რატომ არ აისახა ბიუჯეტში ბიძინა ივანიშვილის მიერ გადახდილი 10 მილიონი, რომელიც მან სასამართლოს მიერ დაკისრებული ჯარიმის ანგარიშზე გადარიცხა.

ფინანსთა მინისტრის მოადგილემ დიმიტრი გვინდაძემ ჟურნალისტებს უთხრა, რომ ჯერჯერობით სახელმწიფო ბიუჯეტში არ ჩარიცხულა ბიძინა ივანიშვილის 10 მილიონი ლარი.

ინფორმაცია ივანიშვილის 10 მილიონის ბიუჯეტში არჩარიცხვის შესახებ დღეს ჟურნალისტებს პარლამენტში ფინანსთა მინისტრის მოადგილემ პაპუნა პეტრიაშვილმა მიაწოდა. მისი თქმით, ივანიშვილის 10 მილიონი ბიუჯეტში არ გადარიცხულა.

სასამართლოს მიერ დაკისრებული ჯარიმის ნაწილი ბიძინა ივანიშვილმა ბიუჯეტში იმ პირობით ჩარიცხა, რომ ეს თანხა სტიქიით დაზარალებულებს უნდა მოხმარებოდა.

როგორც მინისტრის მოადგილე ამბობს, სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისთვის ამ დროისთვის 6.8 მილიონი ლარია დახარჯული. აქედან 5 მილიონი მხოლოდ კახეთს მოხმარდა.

# სააკაშვილმა 100 მილიონი გაფლანგა“

## პარლამენტის წინ საპროტესტო აქცია გაიმართა

**გულიკო ბალაძე**

„მოპარული თანხები“, „გაფლანგული რეზერვი“, „სად არის სარეზერვო ფონდი?“ – ამ ლოზუნგებით გამოვიდა გუშინ პარლამენტის წინ „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთა. ახალგაზრდებმა პროტესტი გამოთქვეს საქართველოს სახელმწიფო სარეზერვო ფონდის გაფლანგვის გამო.

გაირკვა, რომ სააკაშვილს სარეზერვო ფონდი გაუფლანგავს. კახეთსა და სხვა ადგილებში სტიქიამ გამოააშკარავა სახელმწიფო სარეზერვო ფონდის სიცარიელე.



სახელმწიფო სარეზერვო ფონდი გათვალისწინებულია საგანგებო სიტუაციებისთვის, სტიქიური უბედურებების დროს მოსახლეობის დასახმარებლად, მაგრამ, როცა დასჭირდა ქვეყანას და ხალხს სახელმწიფოს დახმარება, აღმოჩნდა, რომ, ფაქტობრივად, სარეზერვო ფონდი აღარ არსებობს, გაფლანგულია.

ბუნებრივია, ისმება კითხვები: ვინ მოიპარა თანხები? ვინ გაფლანგა რეზერვი? სად წავიდა სარეზერვო ფონდი? რისთვის დაიხარჯა?

როგორც ჩანს, სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების თავგასულობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა და 100 მილიონი, რომელიც გათვალისწინებული იყო სწორედ საგანგებო სიტუაციებისთვის, გაფლანგეს.

რაში დახარჯა ნაცმოძრაობამ 100 მილიონი?

ამ ქვეყნის ნებისმიერმა მცხოვრებმა იცის, რომ ეს ხელისუფლება კონცერტებში, ფეიერვერკებსა და გართობებში ფულს არ იშურებს. რა გასაკვირია, თუ სარეზერვო ფონდიდან საგანგებო სიტუაციებისთვის გათვალისწინებულ თანხებს გაფლანგავდა?

ხელისუფლებას ფული არ აღმოაჩნდა კახეთსა და სხვა ადგილებში დატრიალებული სტიქიური უბედურების შედეგების აღმოსაფხვრელად და ხალხის დასახმარებლად.

თუმცა, ამ ხელისუფლებას ხალხი დიდად არ ანაღვლებს. ნაციონალებს ხალხი რომ აინტერესებდეთ, საჩხერეში და სხვაგან 1991 წლისა და 2009 წლის მიწისძვრების შედეგები იქნებოდა აღმოფხვრილი წესიერად და დანგრეულ სახლებს აღადგენდნენ, მით უმეტეს, რომ საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობას რეალური შესაძლებლობა ჰქონდა, პროექტი წარედგინა ბიძინა ივანიშვილისთვის და ეს პრობლემა გადაეჭრა, მაგრამ ეს ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის ფულების მითვისებით ვერ გაძღა, თორემ პირადად განმიცხადა საჩხერის გამგებელმა ზურაბ ცერცვაძემ, რომ არ არსებობდა პროექტი, რომელიც ბიძინა ივანიშვილს წარუდგინეს და არ დააფინანსა. მიწისძვრით დაზარალებულებისთვის ხელისუფლებას უნდა ეზრუნა, მაგრამ რაჭაში სარეკლამოდ რაღაც ნაწილი დააფინანსეს და ამით დამთავრდა ყველაფერი. მაგალითად, როგორც ჩემთვის ცნობილია, გასულმა ზამთარმა საჩხერის რაიონის სოფელ კორბოულში პირველი კატეგორიის დაზიანებული სახლები მიწასთან გაასწორა. ფაქტობრივად, სახლი აღარ არსებობს, მაგრამ მათთან არც არავინ მისულა. განცხადებაზე კი უპასუხეს, ეს პრობლემა მათთვის ცნობილია. ასე უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები არსებობენ ამ ქვეყანაში, გამკითხავი კი არავინაა, რადგან ყველაფერი გამგეობების ხელშია. ისინი მხოლოდ ჯიბეების გასქელებაზე ზრუნავენ. ასე ზრუნავს ხელისუფლება ხალხზე. ამ კატეგორიის ბუნებრივი სტიქიური მოვლენისთვის გამოყოფილი თანხებიც ალბათ შეიჭამა. ეს კი დანაშაულია.

ამიტომ ამ ხელისუფლების ბუნება ჩვენთვის უკვე ცნობილია. თუმცა ახლა არც ისე იშვიათად გვესმის (მთ შორის, ქუჩაშიც), რომ სააკაშვილსა და მის ჯგუფს ჩადენილი დანაშაულების გამო პასუხი უნდა მოეთხოვოს.

რუსთაველზე შეკრებილი ახალგაზრდებიც ხელისუფლებას პასუხს სთხოვენ იმ დანაშაულებრივი ქმედებების გამო, რომლებიც აშკარად გამოაჩინა კახეთში დატრიალებულმა სტიქიურმა უბედურებამ.

„ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები მოითხოვენ, საჯარო გახდეს სარეზერვო ფონდებში არსებული მდგომარეობა.

– დღევანდელი ჩვენი შეკრების მთავარი მიზანია, საჯარო გახდეს სარეზერვო ფონდებში არსებული მდგომარეობა. საჯარო გახდეს, სად, რამდენი და რისთვის დაიხარჯა სარეზერვო ფონდები, – განაცხადა შალვა კიკნაველიძემ.

შალვა კიკნაველიძის თქმით, ეს ფული საქართველოს მოსახლეობისთვის უნდა იხარჯებოდეს. რეზერვში არსებული ფული დღეს რეალურად უნდა იხარჯებოდეს სტიქიით დაზარალებულებისთვის.

– სწორედ ამას ვითხოვთ, გაირკვეს, სად წავიდა ეს თანხები, ვინ მოიპარა, – მოითხოვს შალვა კიკნაველიძე და „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთა.

– ეჭვი გაქვთ, რომ სარეზერვო ფონდში არსებული ფული მოპარული და გაფლანგულია?

– ჩვენ გვაქვს დასაბუთებული ეჭვი, რომ ეს ფული სინამდვილეში იხარჯება ერთი ადამიანის, ერთი ჯგუფისა და ერთი გუნდის უაზრო ამბიციებისა და სურვილების დასაკმაყოფილებლად. ვითხოვთ, გამოააშკარავონ, სად წავიდა ეს თანხები.

– იმედი გაქვთ, რომ არსებული ხელისუფლება ამ ინფორმაციას საჯაროს გახდის?

– ძალიან დიდი იმედი მაქვს და დარწმუნებული ვარ, რომ ოქტომბრიდან ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ გაიმარჯვებს სამართლიანობა. ოქტომბრიდან ადამიანები თავისუფლები ხდებიან, ოქტომბრიდან საქართველოს მოსახლეობას ექნება შესაძლებლობა, იცხოვროს თავისუფალ, დემოკრატიულ ქვეყანაში. ამ ადამიანებს ჩვენ მივხედავთ, მათთან ერთად გადავწყვეტთ, სად უნდა დაიხარჯოს ის თანხები, რომლებიც საქართველოს მოსახლეობას ეკუთვნის.

ერთ ახალგაზრდას პლაკატი უჭირავს, სადაც სააკაშვილის ფოტოს მარცხნივ აქვს მინაწერი, „რეზერვი“, ხოლო მარჯვნივ – 0. ახალგაზრდას ვკითხე, თუ რას გამოხატავდა ეს პლაკატი.

– ეს პლაკატი რას გამოხატავს, თქვენ ფიქრობთ, რომ სარეზერვო ფული სააკაშვილმა შეჭამა?

– რა თქმა უნდა, აბსოლუტურად ყველა თანხა, აბსოლუტურად ყველა სახსარი, რომელიც უნდა გამოყოფილიყო სარეზერვო ფონდიდან, დღესდღეობით რეალურად ბიუჯეტში არ არსებობს. აქედან გამომდინარე, მათ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დღეს და ხვალ მოახერხონ სხვადასხვა უწყებიდან თანხების შეგროვება, რათა ელემენტარულად შეძლონ კახეთში დაზარალებულებისთვის დახმარება. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ არამიზნობრივად და არაკანონიერად იხარჯება თანხა, რომელიც არის სახელმწიფო ბიუჯეტში. ჩვენ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, რაც შეიძლება გამჭვირვალე იყოს სარეზერვო ფონდი, რაც შეიძლება გამჭვირვალე იყოს ყველა სახსარი, რომელიც ბიუჯეტით არის გამოყოფილი, რადგან „ქართული ოცნება“ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს მსგავსი მეთოდებით ქვეყნის მართვას. მიხეილ სააკაშვილს ყოველთვის გავაკრიტიკებთ. ყოველთვის მოვუწოდებთ იმისაკენ, რომ იზრუნონ ხალხზე, მაგრამ, დარწმუნებული ვართ, ის ამას ვერ აკეთებს. მან ვერ შეძლო ხალხზე ზრუნვა და ოქტომბერში მას ქართველი ხალხი გასცემს პასუხს, ნაციონალებს გაუშვებს და ხელისუფლებაში მოვა ის ხალხი, რომელიც იზრუნებს ქართველ ხალხზე.

– სად უნდა წაელო სააკაშვილს რეზერვისთვის გამოყოფილი ამდენი ფული?

– როგორც საზღვრებს გარეთ, ასევე საზღვრებს შიგნით ვოიაჟებში და ა.შ. სააკაშვილის ვოიაჟებისა და კონცერტების შესახებ, რომელიც აბსოლუტურად არ მოდის რეალობასთან, ქართველმა ხალხმა ძალიან კარგად იცის. ეს არის ხალხზე არამზრუნველი ხელისუფლება. ჩვენ მოვიყვანთ ხელისუფლებას, რომელიც იზრუნებს ხალხზე.

### საქართველოში ინსტიტუციებისადმი მოსახლეობის ნდობის თვალსაზრისით ეკლესია ლიდერობს

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის, აი-რა-ის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, საქართველოში ინსტიტუციებისადმი მოსახლეობის ნდობის თვალსაზრისით ეკლესია ლიდერობს.

როგორც „მედიანიუსისთვის“ გახდა ცნობილი, ეკლესიას გამოკითხულთა 94 პროცენტი ენდობა, ქართულ ჯარს – 89 პროცენტი, პოლიციას – 88 პროცენტი, პრეზიდენტის ადმინისტრაციას – 69 პროცენტი, საქართველოს მთავრობას – 66 პროცენტი, პარლამენტს – 65 პროცენტი, მედიას – 64 პროცენტი, განათლების უწყებას – 61 პროცენტი, ცესკოს – 42 პროცენტი, პარტიებს – 44 პროცენტი, სახალხო დამცველს – 43 პროცენტი, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს (ყოფილი კონტროლის პალატა) – 35 პროცენტი, თვითმართველობებს – 56 პროცენტი, პროკურატურას – 56 პროცენტი, სასამართლოს – 53 პროცენტი, ეროვნულ ბანკს – 57 პროცენტი, ხოლო პროფკავშირებს – 17 პროცენტი.

როგორც ცნობილია, აი-რა-ი-ს ოფიციალურად კვლევის შედეგები ამ დრომდე არ გამოუქვეყნებია. კვლევის შედეგების ნაწილი ჟურნალისტებისთვის კულუარულად გახდა ცნობილი.

*მედიანიუსი*

### დედაქალაქის ნაწილს დღეს ელექტროენერგიის მიწოდება შეეზღუდება

ენერგოქსელში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო, დღეს დედაქალაქის რამდენიმე ქუჩას ელექტროენერგიის მიწოდება შეეზღუდება. როგორც „ნიუსპრესს“ თელასიდან აცნობეს ნაძალადევის რაიონის ნაწილს ელექტროენერგია 10:00-დან 13:00 საათამდე გაეთიშება. შეზღუდვა შეეხება ქურდიანის, მარუაშვილის, ხუდადოვის, ცაიშის, ცოტნე დადიანის გამზირს(ნაწილობრივ), ზაზიშვილის, მეუნარგიას, მამრაძის, გროზნოს, აფხაზეთის, სარკინეთის ქუჩებს.

10:00-დან 15:00 საათამდე შუქი არ ექნება აღმაშენებლის ხეივანს და სოფელ ჩალიპირებს, 14:00 საათამდე – ვაკის რაიონის ნაწილს, 16:00 საათამდე კი – წერეთლის გამზირს (ნაწილობრივ), სტანისლავსკის, ლუბლიანას, თევდორე მღვდლის და ვანის ქუჩებს. ელექტროენერგიის მიწოდება 10:00-დან 17:00 საათამდე შეუწყდება ჯავახიშვილის, ბენაშვილის, მაზნიაშვილის ქუჩებს, ასევე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის და ქოშიგორის დასახლების მაცხოვრებლებს.

დროის ამავე მონაკვეთში შუქი არ ექნება ისნის რაიონში მოსკოვის პროსპექტს (ნაწილობრივ), თელავის, კობარეთის, ზურაბაშვილის, ახმეტელის, წინანდლის ქუჩებს; ასევე, გლდანის რაიონის რამდენიმე ქუჩას და სამგორის რაიონის ნაწილს. შეზღუდვა შეეხება ვარკეთილის ზემო პლატოს II მიკრორაიონს, ვარკეთილი-3 IIIა მიკრორაიონს და ვარკეთილის მასივის ზემო პლატოს II მიკრორაიონს.

ამასთან, სარემონტო სამუშაოების გამო 10:00-დან 18:00 საათამდე შუქი გაეთიშება გურამიშვილის გამზირს (ნაწილობრივ), არბოს, ლოლობერიძის, ღრმაღელის, ლეჩხუმის, ხევსურეთის, კავთისხევის, მახინჯაურის, გუდამაყრის, ნაგომარის ქუჩებს; ასევე, ვაჟა-ფშაველას გამზირს (ნაწილობრივ) და ამბროლაურის ქუჩას.

*ნიუსპრესი*

# სააკაშვილის ოლიმპიადაზე წასვლის საკითხი გადაწყვეტილი არ არის

ნათია ხურცილავა



მანანა მანჯგალაძე

პრეზიდენტის პრესსპიკერმა მთავრობის კანცელარიაში ჟურნალისტებისთვის დაწესებულ შეზღუდვებზე კომენტარი ტრადიციულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

— კომენტარის მოპოვება არც მაშინ იყო იოლი, როდესაც აქტიური ჟურნალისტი ვიყავი, — განაცხადა პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ მთავრობის კანცელარიაში ჟურნალისტების მუშაობის წესის შეცვლის კომენტირებისას. მანჯგალაძის განცხადებით, ის აქტიურად მუშაობდა, თუმცა, იყო არა კანცელარიაში, არამედ საპარლამენტო ჟურნალისტი და აშუქებდა სხვადასხვა სფეროს, მათ შორის პოლიტიკას, სოციალურ თემატიკას და კულტურასაც.

— კომენტარის მოპოვება არც მაშინ იყო ადვილი და, მე მგონი, დღესაც კომენტარის მოპოვება ნებისმიერ თემაზე, ალბათ, შრომას მოითხოვს. შრომა ყოველთვის გვიწევდა, — აცხადებს მანჯგალაძე.

მანჯგალაძემ ასევე ისაუბრა იმაზე, დაესწრება თუ არა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ლონდონის ოლიმპიადის გახსნას, რომელიც ამ დროისთვის გადაწყვეტილი არ არის.

ამის შესახებ გუშინ ტრადიციულ ბრიფინგზე პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა. მანჯგალაძემ კომენტარი ასევე გააკეთა პრემიებზე. როგორც ის აცხადებს, არ ფლობს ინფორმაციას, თუ რამდენს შეადგენს ფულადი პრემიების ოდენობა, რომელიც ოლიმპიადაზე წარმატებულ ქართველ სპორტსმენებს გადაეცემათ.

მისივე თქმით, ამასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროშია შესაძლებელი.

მანჯგალაძემ ქართველ ოლიმპიელებს პრეზიდენტის ადმინისტრაციის სახელით წარმატება უსურვა.

მოუწევთ ჟურნალისტებს მუშაობა. პრეზიდენტის პრესსპიკერმა სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის საკომპენსაციო თანხების დარიგებაზე ისაუბრა.

როგორც მანჯგალაძემ აღნიშნა, სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის კომპენსაციის დარიგება, სავარაუდოდ, 15 აგვისტოსთვის დასრულდება. მისი თქმით, ბოლო დღეების განმავლობაში საქართველოს მთავრობა მაქსიმალური მობილიზებით მუშაობს.

მანანა მანჯგალაძის განცხადებით, პარლამენტში საბიუჯეტო ცვლილებებთან დაკავშირებით საკომიტეტო მოსმენები იმართება, ასევე ჩანიშნულია რიგგარეშე სხდომაც, სადაც ცვლილებებს უკვე პარლამენტი დაამტკიცებს და სწორედ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი საკომპენსაციო თანხების დარიგების დაწყება.

— სავარაუდოდ, ეს მოხდება აგვისტოს პირველ რიცხვებში. კახეთის რეგიონიდან ჯანდაცვის სამინისტროში უკვე შევა დაზუსტებული სიები და 15 აგვისტოსთვის კომპენსაციების დარიგება დასრულებული იქნება, — განაცხადა მანანა მანჯგალაძემ. მისი თქმით, მთლიანობაში საბიუჯეტო ცვლილებებით გათვალისწინებულია 160 მილიონი ლარის მობილიზება-გადანაწილება.

# კოლუმბიაში უვიზოდ ვივლით

ნათია ხურცილავა

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგი კაპანაძის ინფორმაციით, კოლუმბიაში საქართველოს მოქალაქეებს უვიზო მიმოსვლა შეეძლებათ. უახლოეს მომავალში საქართველოს მოქალაქეებს მიეცემათ შესაძლებლობა, უვიზოდ იმოგზაურონ კოლუმბიაში.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ამის შესახებ ცნობილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგი კაპანაძის კოლუმბიის რესპუბლიკაში სამუშაო ვიზიტის დროს გახდა.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში ასევე წარმოდგენილი იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კოლუმბიის რესპუბლიკაში (რეზიდენციით ბრაზილია) ოთარ ბერძენიშვილი.

სამინისტროს ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები კოლუმბიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან მონიკა ლანზეტა მუტისთან, ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მარია კონსტანცა გარსიასთან და ექსპორტის სტრატეგიული მხარდაჭერის დირექტორ ოლგა ლუსია პერესთან. შეხვედრებისას განხილულ იქნა საქართველოს და კოლუმბიას შორის ორმხრივი ურთიერთობების განვითარების საკითხები ეკონომიკის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურისა და სპორტის სფეროებში. მხარეებმა აღნიშნეს ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური დიალოგის განვითარების, სამართლებრივი ბაზის გაღრმავებისა და ორმხრივი ვიზიტების გაცვლის მნიშვნელობა.

კოლუმბიის მხარის გადაწყვეტილებით, უახლოეს მომავალში საქართველოს მოქალაქეებს მიეცემათ შესაძლებლობა, უვიზოდ იმოგზაურონ კოლუმბიაში. ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოში ბოსნია-ჰერცეგოვინის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა დრაგოლუბ ლეიპოიამ (რეზიდენციით ანკარა), საქართველოში დიპლომატიური საქმიანობის დასრულებასთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძესთან გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გამართა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინას შორის არსებული ურთიერთობები. ხაზი გაესვა ორმხრივი თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადაყვანისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში მჭიდრო კოორდინაციის აუცილებლობას.

# ჟურნალისტები „მაესტროს" მხარდასაჭერად აქციას გამართავენ

ნათია ხურცილავა

**პარლამენტთან დღეს „მაესტროს" მხარდამჭერი აქცია გაიმართება. ამის შესახებ სხვადასხვა მედიასაშუალების წარმომადგენლებმა „ინტერპრესნიუსის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს.**

**როგორც გაზეთ „რეზონანსის" მთავარმა რედაქტორმა ლაშა ტუღუშმა აღნიშნა, აქციაზე ამჯერადაც „მაესტროს" კუთვნილ სატელიტურ თეფშებზე ყადაღის მოხსნასა და ქონების მესაკუთრისთვის გადაცემას მოითხოვენ.**

— ჩვენ „მაესტროს" კუთვნილ ქონებაზე ყადაღის მოხსნის მოთხოვნით პროკურატურას უკვე მივმართეთ, თუმცა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით უცნობია, თუ რას აპირებს ეს უწყება. ამავე დროს, პროკურატურა აგრძელებს თავის უგუნურ ქმედებებს და ტელეკომპანიის კუთვნილი ტექნიკით დატვირთული ორი ავტომანქანა კიდევ დააყადაღეს. მიგვაჩნია, რომ ეს აღმაშფოთებელი ფაქტი და სერიოზული შეცდომაა, — განაცხადა ლაშა ტუღუშმა.

ტუღუშის შეფასებით, ეს პრობლემა არა მხოლოდ „მაესტროს", არამედ, ზოგადად, საქართველოში სიტყვის თავისუფლებას ეხება.

— ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას, ვიდრე „მაესტროს" კუთვნილი ქონება არ დაუბრუნდება, — აღნიშნა ტუღუშმა. პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ რეგიონული მედიის ასოციაციის ხელმძღვანელი ია მამალაძე, ჟურნალ „ლიბერალის" რედაქტორი შორენა შავერდაშვილი, ტელეკომპანია „კავკასიის" საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი ნინო ჯანგირაშვილი, გაზეთ „რეზონანსის" მთავარი რედაქტორი ლაშა ტუღუში, „მაესტროს" გენერალური დირექტორი ილია კიკაბიძე.

მედიასაშუალებები ხელისუფლებას ტელეკომპანია „მაესტროსთან" დაკავშირებით პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისკენ მოუწოდებენ.

როგორც სხვადასხვა მედიასაშუალების წარმომადგენლებმა პრესკონფერენციაზე განაცხადეს, პრობლემას, რომელიც „მაესტროს" ირგვლივ არის შექმნილი, ხელისუფლების მხრიდან დაუყოვნებლივ გადაწყვეტა სჭირდება.

— ეს პრობლემა საჭიროებს დაუყოვნებლივ გადაწყვეტას. როცა მსგავსი ტიპის პრობლემები წარმოიშობა ხოლმე, ყველაფერი წყდება ისე, როგორც სიტყვის თავისუფლებას სჭირდება, რადგან ეს ერთ-ერთი უზენაესი პრინციპია ნორმალური და სამართლებრივი სახელმწიფოსთვის. შესაბამისად, ხელისუფლება ვერ გაექცევა ამ საკითხზე პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. მან უახლოეს მომავალში უნდა დაგვანახვოს, რა სურს — პლურალისტური გარემოს შექმნა, დემოკრატია და სამართლიანი არჩევნები თუ არჩევნებამდე ხელების გადაგრეხისა და მორევის პრინციპით მისვლა. „მაესტროს" თემა ხელისუფლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ტესტია. ის „მაესტროს" საკითხზე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებას ვერ გაექცევა და ვერ მოგვიშორებს თავიდან იმის თქმით, რომ მიმდინარეობს გამოძიება ან პროკურატურას მივმართოთ, — აღნიშნა ტელეკომპანია „კავკასიის" საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელმა ნინო ჯანგირაშვილმა.

ჯანგირაშვილის განმარტებით, პრობლემა, რომელიც „მაესტროს" ირგვლივ შეიქმნა, არა მხოლოდ ერთი ტელეკომპანიის, არამედ ყველა მედიასაშუალებისა და საზოგადოების პრობლემაა.

— გაქანებული კამპანია მიმდინარეობს თეფშების წინააღმდეგ საბრძოლველად. რა თქმა უნდა, ესაა პოლიტიკური საკითხი და ამიტომაც ამ თემის ირგვლივ დისკუსია და პროტესტი არ უნდა შეწყდეს. საქმე ეხება მედიის თავისუფლებას, — აღნიშნა ჯანგირაშვილმა.

როგორც ილია კიკაბიძემ, „მაესტროს" გენერალურმა დირექტორმა, პრესას განუცხადა, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ტელეკომპანია „მაესტროსთვის" განკუთვნილი სხვადასხვა სახის ტექნიკა დააყადაღა.

— გუშინ უცხოეთიდან საქართველოში ტელეკომპანიისთვის განკუთვნილი ტექნიკით დატვირთული ორი ავტომანქანა შემოვიდა, თუმცა ტექნიკა გაფორმების ეკონომიკური ზონიდანვე საწყობში გადაიტანეს, სადაც დალუქეს, — აღნიშნა კიკაბიძემ. კიკაბიძის განმარტებით, ამ დროისთვის ტელეკომპანიისთვის მიყენებული ზარალის ოდენობა დაახლოებით ნახევარ მილიონ დოლარს აღწევს.

— ჩვენი აუდიტები ქონების დაყადაღების შედეგად მიყენებულ ზარალს ითვლიან, თუმცა, წინასწარი გათვლებით, საუბარია ნახევარ მილიონ დოლარზე, — აღნიშნა კიკაბიძემ.

„მაესტროს" გენერალური დირექტორის თქმით, არხის იურისტები პროკურატურის წინააღმდეგ სარჩელს ამზადებენ, რომელშიც ტელეკომპანია მიყენებული ზარალის ანაზღაურებას მოითხოვს. მედიაორგანიზაციების წარმომადგენლები ტელეკომპანია „მაესტროს" ირგვლივ შექმნილი ვითარების განმუხტვის ერთ-ერთ საშუალებად ხელისუფლების მიერ სატელიტური ანტენების დამონტაჟების საკუთარ თავზე აღებაში ხედავენ. როგორც „ლიბერალის" მთავარმა რედაქტორმა შორენა შავერდაშვილმა განაცხადა, ეს კარგი ჟესტი იქნებოდა იმის ხაზგასასმელად, რომ ხელისუფლებას არჩევნების სამართლიან მედიაგარემოში ჩატარება მართლაც სურს.

— ის, რასაც ხელისუფლება „მაესტროსა" და კერძო საკაბელო კომპანიის წინააღმდეგ „მასთ ქერის" პრინციპის დამტკიცების ფონზე აკეთებს, სრულიად ალოგიკური და ურთიერთგამომრიცხავია. პირიქით, წინასაარჩევნოდ ხელისუფლებას დამატებითი ვალდებულება და პასუხისმგებლობა აქვს, რომ განსხვავებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოს. ამ კონტექსტში, კარგი იქნებოდა, მას თავის თავზე აეღო სატელიტური ანტენების დამონტაჟების ვალდებულება. ამით ხაზგასმა მოხდებოდა იმისა, რომ ხელისუფლებას მართლაც სურს, არჩევნები სამართლიან მედიაგარემოში ჩატარდეს, სადაც საინფორმაციო ომი კი არ არის გაჩაღებული, არამედ ადამიანები ინფორმაციას სხვადასხვა მედიასაშუალებიდან იღებენ და ინფორმირებულ არჩევანს აკეთებენ, — განაცხადა შავერდაშვილმა. შავერდაშვილის განმარტებით, „მაესტროს" წინააღმდეგ პროკურატურის ბრალდება არ შეიცავს სარწმუნო სამართლებრივ არგუმენტს, რომელიც „დაგვარწმუნებდა, რომ მიღებული გადაწყვეტილება კანონიერია და არა მედიის წინააღმდეგ პოლიტიკური ბერკეტი.

**შორენა შავერდაშვილი:**

— არ არის არც ერთი არგუმენტი პროკურატურის განცხადებაში, რომელიც ჩვენ დაგვარწმუნებდა, რომ ეს არ არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, პოლიტიკური ბერკეტი მედიის წინააღმდეგ და ეს არის სარწმუნო სამართლებრივი, კანონიერი გადაწყვეტილება. ეს არ არის მხოლოდ „მაესტროს" შელახული უფლება, ეს თითოეული მოქალაქის შელახული უფლებაა, რომ მიიღოს ალტერნატიული ინფორმაცია, ის ინფორმაცია, რომელიც მას აინტერესებს, მით უფრო — წინასაარჩევნო პერიოდში. თუ 8-9 წლის წინ უშიშროების სამსახური პირდაპირ შედიოდა სხვადასხვა ტელეკომპანიაში და ფიზიკურად ხდებოდა ჟურნალისტებისთვის ხელისშეშლა, ახლა სამართლებრივი და იურიდიული მექანიზმებით ხდება იგივე. სწორედ ამის მაგალითია „მაესტროს" ირგვლივ განვითარებული მოვლენები. „მაესტროს" შემთხვევა არ არის პირველი, როდესაც პირდაპირი ზეწოლა ხდება მედიაზე. „მაესტრო" გაგრძელებაა ტენდენციის, რასაც ჰქვია ინფორმაციის გავრცელებისთვის ხელისშეშლა. არც კერძო მაუწყებლებს, არც კერძო კომპანიებს არ ეძლევათ საშუალება, რომ თავიანთი საქმიანობა გააფართოვონ, რომ ხელმისაწვდომი გახდეს მათი საქმიანობა, ეს მედიისთვის პირდაპირი ხელისშეშლაა.

**ლაშა ტუღუში, გაზეთ „რეზონანსის" რედაქტორი:**

— პროკურატურაში უკვე შევიტანეთ ჩვენი მოთხოვნა, რომ „მაესტროს" კუთვნილ



ქონებაზე ყადაღა მოიხსნას. ჯერჯერობით მათი რეაქცია ცნობილი არ არის, თუ რას აპირებენ ჩვენს მოთხოვნაზე. სამწუხაროდ, პროკურატურა აგრძელებს უგუნურ მოქმედებებს მათ კვლავ დააყადაღეს 15 ათასამდე ტექნიკური საშუალება, რომელიც „მაესტროსთვის" ჩამოდიოდა. ეს აღმაშფოთებელი ფაქტია. ძალიან სერიოზული შეცდომაა. შეცდომას კვლავ შეცდომა ემატება. ამიტომ ვაპირებთ, პარლამენტის შენობის წინ მედიასაშუალების წარმომადგენლებმა საპროტესტო აქცია გავმართოთ იმ მოთხოვნით, რომ უკანონოდ წართმეული ქონება ტელეკომპანიას დაუბრუნდეს. ეს არ არის მხოლოდ ერთი ტელეკომპანიის პრობლემა, ეს არის მთელი მედიის შევიწროება. ჩვენ ამ ფაქტებს აღვიქვამთ, როგორც სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯებს. ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას, მოქმედებას იმ დრომდე, სანამ არ აღდგება სამართლიანობა და უკანონოდ წართმეული ქონება არ დაუბრუნდება ტელეკომპანიას.

# ობამა რომნის საგარეო პოლიტიკურ ხედვებს აკრიტიკებს

ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მისი მეტოქე მით რომნი საგარეო პოლიტიკური ხედვების გამო მკაცრად გააკრიტიკა.

„ნიუ-იორკ თაიმსის" ცნობით, ორშაბათს, ომის ვეტერანების ყრილობაზე გამოსვლისას ობამამ რომნის განცხადებაზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც თვლის რომ ამერიკა ობამას პრეზიდენტობის დროს უკან მიდის:

„თუ ვინმე შეეცდება იმის თქმას, რომ ამერიკის სიძლიერე წარსულში რჩება, ჩვენ მათ ვუპასუხებთ-მე-20 საუკუნის მსგავსად, 21-ე საუკუნე ამერიკის სიძლიერის საუკუნე იქნება. ჩვენ ამერიკელები ვართ, რომლებსაც მმართველობის ისეთი საუკეთესო ფორმა გვაქვს, რომელიც ოდესმე მოუფიქრებია ადამიანს", — აღნიშნა პრეზიდენტმა.

რომნიმ ობამა ავღანეთიდან ჯარების გამოყვანის ვადის გამოცხადების გამო გააკრიტიკა, რომლის თქმითაც პრეზიდენტს ჯერ სამხედრო ხელმძღვანელობისათვის უნდა მოესმინა, სანამ ამ განცხადებას გააკეთებდა. ობამამ აღნიშნულის შესახებ განაცხადა: „როდესაც შენ ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი ხარ, ვალდებული ხარ სამხედროებს, ისევე როგორც შენს ქვეყანას, არსებული გეგმა გააცნო. ეს ნიშნავს, რომ აცნობიერებ არა მხოლოდ ომის დაწყებას, არამედ მის დასასრულსაც".

— მით რომნის ერთ-ერთ საგარეო პოლიტიკურ ხედვას წარმოადგენს ის, რომ იგი ავღანეთიდან ჯარების გამოყვანის დათქმულ ვადას ეწინააღმდეგება. საინტერესო ის არის, როგორ წარმოაჩენს საკუთარ პოზიციას დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას, — აღნიშავს ობამას წინა საარჩევნო კამპანიის ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველი მაიკლ ფლორნი. მსგავს განცხადებებს უპასუხოდ არც რომნის საარჩევნო კამპანიის წარმომადგენლები ტოვებენ:

— პრეზიდენტი ობამა ფიქრობს, რომ ახლო აღმოსავლეთში უახლოეს მოკავშირესთან ვიზიტი „გართობაა"; უგო ჩავესი „სერიოზულ" საფრთხეს არ წარმოადგენს, რუსეთთან დაკავშირებით მართებულია მეტი „მოქნილობის" დაპირება არჩევნებამდე „დროის მიცემის" სანაცვლოდ. ცხადია, რომ ობამას საგარეო პოლიტიკა არეული, სუსტი და მსოფლიოს ყველა რეგიონში შესუსტებულია, -აღნიშნავს მით რომნის წინა საარჩევნო კამპანიის წარმომადგენელი ანდრეა სული.

„ინდეპენდენტის" ინფორმაციით კი, ამერიკის პრეზიდენტის ბარაკ ობამა სუშუალო კონკურენტს მით რომნის დაუნინგ-სტრიტზე ბრიტანეთის ხელისუფლება „ვიაიპი" შეხვედრას მოუწყობს.

ოფიციალური ინფორმაციით, მით რომნი ბრიტანეთში მცხოვრებ ამერიკულ დიასპორას შეხვდება წინასაარჩევნოდ რესპუბლიკელთათვის თანხების შესაგროვებლად და ლონდონის ზაფხულის ოლიმპიადის გახსნის საზეიმო ცერემონიალს დაესწრება.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# „თბილისის საოპერო ფესტივალი“ გალაკონცერტით დაიხურება

ეკა ირემაშვილი

25 ივლისს „თბილისის საოპერო ფესტივალი“ გალაკონცერტით დაიხურება. როგორც ოპერის წარმომადგენელი ზურაბ იოკაშვილი განმარტავს, ამ ფესტივალმა მრავალი მუსიკის მოყვარული დააინტერესა და მიიზიდა.

— პირველ საფესტივალო კონცერტზე შესრულდა პეტრე ჩაიკოვსკის „სერენადა“ სიმებიანი ორკესტრისთვის და კონცერტი ვიოლინოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის. მსმენელს უმასპინძლა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრმა, რომელსაც უძღვებოდა თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი, იტალიელი დირიჟორი ჯანლუკა მარჩანო. აუდიტორიამ გაიცნო ფესტივალის სპეციალური სტუმარი, შესანიშნავი ახალგაზრდა მევიოლინე ვალერი სოკოლოვი, რომლის საშემსრულებლო ხელოვნება ნამდვილად უმაღლეს შეფასებას იმსახურებს. 15 ივლისს შესრულდა ვერდის „ნაბუქო“, 20 ივლისს — ვერდის „ატილა“, რომლის შესრულებაში ქართველ მუსიკოსებთან ერთად მონაწილეობდა ფესტივალის სპეციალური სტუმარი — ანტონინის უნივერსიტეტის გუნდი (ლიბანი) და გერმანიაში მოღვაწე მომღერალი რამაზ ჩიკვილაძე. „თბილისის საოპერო ფესტივალის“ დასკვნითი საღამო — გალაკონცერტი კონსერვატორიის დიდ დარბაზში 25 ივლისს გაიმართება. გალაკონცერტის პროგრამაშია ფრაგმენტები ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის, ჯუზეპე ვერდის, ჯაკომო პუჩინის, პიეტრო მასკანის ოპერებიდან. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ თეატრის სოლისტები — თეა დემურიშვილი, ლეგი იმედაშვილი, მიშელინა ქობალიანი, ზაალ ხელაია. გალაკონცერტს ჯანლუკა მარჩანო იდირიჟორებს, — აცხადებს ზურაბ იოკაშვილი.


დავით საყვარელიძე

თბილისის საოპერო ფესტივალი კონსერვატორიის დიდ დარბაზში პირველად გაიმართა და მისი დამფუძნებელი საერთაშორისო ფონდი „თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრია“. ფესტივალის საბაზო კოლექტივია ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, მისი სოლისტები, გუნდი (მთავარი ქორმაისტერი — ავთანდილ ჩხენკელი, ქორმაისტერი — შალვა შაორშაძე), სიმფონიური ორკესტრი (კონცერტმაისტერი — ლელა მჭედლიძე).

— საუკუნეების მანძილზე თბილისს საოპერო ხელოვნების ჭეშმარიტ კერად მიიჩნევდნენ. ქართული ვოკალური სკოლის წარმომადგენლები დღესაც ბრწყინავენ მსოფლიო საოპერო სცენებზე და ალაფრთოვანებენ ოპერის მოყვარულებს. ამ ხელოვნების მიმართ უზომო სიყვარულმა მაფიქრებინა საოპერო ფესტივალის შექმნა. თუმცა, ეს ჩემი ან ჩვენი თეატრის პირდაპირი მოვალეობა არ გახლავთ. ვოცნებობდით, გამოჩენილიყო ვინმე, ვინც დააფუძნებდა ფესტივალს, სადაც, სხვებთან ერთად, ჩვენ ერთ-ერთ მონაწილედ მოგვიწვევდა ყოფნა. მოგეხსენებათ, მაღალი რანგის ფესტივალის ჩატარებას ძალიან დიდი შრომა, ბევრი ადამიანი და თავდადება სჭირდება. ამ საქმის ხორცშესხმას ახალი ორგანიზაცია და სტრუქტურა სჭირდება. დიდხანს ველოდე იმ ადამიანს, რომელიც შექმნიდა საქართველოში, სადაც სამი საოპერო თეატრია, საერთაშორისო ფესტივალს, მაგრამ, მიუხედავად ბევრი ლაპარაკისა, ასეთი მაინც არავინ გამოჩნდა. და აი, მე და ჩემმა მეგობრებმა ჩვენი ოპერის სოლისტებმა, ორკესტრის მუსიკოსებმა, ადმინისტრაციის წევრებმა, გადავწყვიტეთ, დამოუკიდებლად დაგვეარსებინა „თბილისის საოპერო ფესტივალი“, ჯერჯერობით მოკრძალებული მასშტაბით, მაგრამ ჩვენი თეატრისთვის ისტორიულად უმნიშვნელოვანეს პერიოდში! ვიმედოვნებ, რომ ამ ფესტივალს საუკუნეების მანძილზე ეყოლება ერთგული მაყურებელი. თქვენ კი, ძვირფასო სტუმრებო, გისურვებთ, რომ არსად წასვლა და ხეტიალი არ მოგიწიოთ ნამდვილი, ჭეშმარიტი საოპერო თავგადასავლების საძიებლად და ეს ყველაფერი ჩვენს „თბილისის საოპერო ფესტივალზე“ გეპოვოთ, — ამბობს ფესტივალის დამფუძნებელი დავით საყვარელიძე.

# მიმდინარე წლის დასაწყისიდან ავღანეთში ნატოს 255 სამხედრო დაიღუპა

მიმდინარე წლის დასაწყისიდან ავღანეთში საერთაშორისო კოალიციური ძალების 255 სამხედრო დაიღუპა. ინფორმაციას ამის შესახებ სააგენტო „პაჟვაკი“ კონტიგენტის პრესსამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს.

პრესსამსახურის ინფორმაციით, დღეს ავღანეთის აღმოსავლეთ ნაწილში ბოევიკების თავდასხმის შედეგად ერთი სამხედრო დაიღუპა, რომლის ეროვნებაც არ სახელდება. ამ დანაკარგით კოალიციის დანაკარგმა წლის დასაწყისიდან 255 სამხედრო შეადგინა.

ამას გარდა, გავრცელებული ინფორმაციით, კოალიციისათვის ყველაზე მძიმე თვე მაისი იყო, მაშინ 45 სამხედრო დაიღუპა. მიმდინარე ივლისში დაღუპულღა რაოდენობა ჯერ ჯერობით 35-ია. სულ ოპერაციის დასაწყისიდან ავღანეთში დაღუპულია 3,1 ათასი სამხედრო, რომლიდანაც 2,05 აშშ-ს სამხედრო მოსამსახურეა. ამ ფონზე, ავღანეთში, პროვინცია ფარახში ადგილობრივი პოლიციის უფროსი 13 დაქვემდებარებულთან ერთად „თალიბების“ მხარეს გადავიდა.



როგორც უცხოური მედია პროვინციის გუბერნატორზე დაყრდნობით იუწყება, პოლიციელებმა საგუშაგო 22 ივლისს დატოვეს და თან იარაღი და სამსახურის რამდენიმე ავტომანქანა წაიყვანეს.

გავრცელებული ინფორმაციით, პოლიციის უფროსმა 7 ოფიცერი მოწამლა, რომლებმაც მათთან ერთად წასვლაზე უარი განაცხადეს.

რამდენიმე დღის წინ ავღანელმა პოლიციელებმა რამდენიმე უცხოელი მრჩეველი დაცხრილეს და მათი ავღანელი თარჯიმანი დაჭრეს. ავღანეთის ხელისუფლება პოლიციის გაძლიერებას ცდილობს, რომელმაც 2014 წლის ბოლოდან, მას შემდეგ რაც ავღანეთს საერთაშორისო კოალიციის ძალები დატოვებენ, ქვეყნის უსაფრთხოებაზე კონტროლი უნდა გადაიბაროს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## უფყნ[ფლტ,ტ,ბ


● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში“. მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.

● კლინიკა „მედიგარდი“ გთავაზობთ ნებისმიერი ტიპისა და სირთულის სისხლძარღვოვანი პათოლოგიის გამოკვლევასა და მკურნალობას. მკურნალობა ეფუძნება შემდეგ მეთოდებს: მეზოთერაპია, ჰირუდოთერაპია (წურბელები), ჰომეოპათია, ოზონოთერაპია და ფიტოთერაპია. მისამართი: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 599-57-25-08.

● იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.


## h3xცდx3ლბ ,

**შვეულად**: 1. სამრეწველო რაიონი უკრაინაში; 2. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 3. ლიტერატურული ან მეცნიერული ნაშრომის კრიტიკული შეფასება; 4. ბოსტნეული მცენარე; 5. დენის ძალის საზომი ერთეული; 9. კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვა; 11. გემის ან თვითმფრინავის დაქირავება გარკვეული ვადითა და პირობებით; 12. სითხეების, აირების მინარევებისაგან გამწმენდი საშუალება; 14. მე-17 საუკუნის გერმანელი ასტრონომი; 18. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება; 19. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ირანის ნავსადგური სპარსეთის ყურეში.

**თარაზულად**: 4. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 5. მრავალადგილიანი თანამედროვე სამგზავრო თვითმფრინავი; 6. ბერების საცხოვრებელი ოთახი მონასტერში; 7. მოსავლის ამღები კომბაინის წინა სამკალი ნაწილი; 8. გეომეტრიული ფიგურა; 10. ნავსადგური ყირიმში; 13. ალუბლის ერთ-ერთი ჯიში, იაპონიის სიმბოლო; 15. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 16. შტატი აშშ-ში; 17. საცხენოსნო შეჯიბრება; 20. პატარა სასაუზმე გერმანიაში; 21. მთიანეთი აზიაში; 22. უნგრელი მოჭადრაკე დების გვარი; 23. სამხედრო ფორმის ქურთუკი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმდტ.ყტ,ეჯბ h3xცდx3ლტ,ბც გფცე[ტ,ბ5

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ჯარა; 2. რაგბი; 3. ოპიუმი; 5. პასკა; 6. ჩურჩხელა; 8. გოლფსტრიმი; 10. ლივადია; 12. „სურჩინა“; 14. ალკოვი; 15. „რაპიდი“; 16. „სტელა“.

**თარაზულად:** 1. ჯულური; 4. აპალაჩი; 7. გოგენი; 9. მირაჟი; 11. ალილუია; 12. საინგილო; 13. ჯაფარა; 17. „ჩელიტა“; 18. ციხე; 19. სნოუბორდი; 20. ვილაიეთი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. თევზაძე; 2. ტაქსაფონი; 3. ძაძამიძე; 4. „დამპერი“; 5. ყორანი; 9. მაიამი; 11. დიორამა; 12. კორომი; 14. ვექსილი; 18. ერაყი; 19. ქინთი.

**თარაზულად:** 4. დაგერი; 5. ყაბალახი; 6. გაუჩო; 7. ამნესია; 8. ისრიმი; 10. ქანდა; 13. ძლვენი; 15. ფავინო; 16. ძერა; 17. პიკე; 20. სამიტი; 21. „ნიკორა“; 22. მაყვალი; 23. თუშეთი.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავლისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**ცფ,ფყრჯჰტრდბპბნტ,ბ5**

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`

# დინამომ ფენერბახჩეს“ არაფერი დაუთმო

ქართული გუნდები ახალი სეზონისთვის ემზადებიან. მომავალ ჩემპიონატში ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი თბილისის „დინამო“ უნდა იყოს, რომელიც ახლა სლოვენიურ შეკრებაზე იმყოფება, სადაც მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა და სახელოვან სტამბულის „ფენერბაჰჩეს“ უგოლოდ დაუზავდა.

მართალია, დუშან უჰრინის შეგირდებს ბევრი საგოლე მომენტი ნამდვილად არ ჰქონიათ და თამაშიც მეტწილად თურქთა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ გიორგი ლორიამ კარის „მშრალად შენახვა“ მოახერხა.

ისიც ვთქვათ, რომ „ფენერბაჰჩეს“ რიგებში ბრაზილიელმა ალექსმა და სტამბულში ინგლისური „ლივერპულიდან“ გადასულმა 32 წლის ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა დირკ კუიტმაც ითამაშეს. საერთოდაც, თურქებს საბრძოლო შემადგენლობა ჰყავდათ და მათ წინააღმდეგ ბოლომდე მებრძოლი დინამოელების ხილვა სასიამოვნო გახლდათ. მეტიც, მატჩის უკანასკნელ წუთზე მიკელ ალვაროს ზუსტად რომ დაერტყა ახლო მანძილიდან, „დინამო“ მატჩის მოგებასაც მოახერხებდა.

**დუშან უჰრინი:**

– პირველ ტაიმში ფაქტიურად 15 წუთის შემდეგ დავიწყეთ თამაში. ფეხბურთელებით კმაყოფილი ვარ და არ მინდა ვინმე გამოვყო. ეს უბრალოდ მოსამზადებელი შეხვედრა იყო და შეიძლება წაგვეგო ან მოგვეგო კიდეც. საინტერესო და რთული თამაში იყო. შეხვედრის ბოლო 20 წუთი ბევრად უკეთ ჩავატარეთ. პირველ ნახევარში უფრო ნელა ვმოქმედებდით. „ფენერბაჰჩეს“ ძალის გათვალისწინებით, კარგი შედეგი იყო, თუმცა ეს ბევრს არაფერს ნიშნავს.

**გიორგი ლორია:**

– კარგი სპარინგი იყო. ფაქტიურად, ახალი გუნდი ყალიბდება და მწვრთნელმა ძლიერი და სუსტი მხარეები დაინახა, გამოჩნდა, სად გვჭირდება გაძლიერება. ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავდა და შედეგი ალბათ ჩვენთვის უფრო მისაღები გახლდათ.

**ლევან ხმალაძე:**

– სეზონისთვის მზადება დასკვნით ფაზაში შედის და ასეთ დროს მნიშვნელოვანია თამაშის ხარისხიც და შედეგიც. კარგია, რომ შეკრებაზე ძლიერ მეტოქეებთან გვიწევს თამაში. მსგავსი შეხვედრები საჭიროა კონდიციების მიღწევაში და გამოცდილების თვალსაზრისითაც ძალიან გვეხმარება. მეტოქის ძალიდან გამომდინარე, ცხადია, თამაშით გვაჯობეს, მაგრამ ვცდილობდით არაფერი დაგვეთმო და ვფიქრობ, შედეგით უკმაყოფილო არ უნდა ვიყოთ.

ცხადია, საინტერესო იქნება თუ რა შემადგენლობებით ითამაშეს გუნდებმა:

დინამო: ლორია, რეხვიაშვილი, სეთურიძე, ხიზანეიშვილი (გლიშიჩი 62), კვარაცხელია, ხმალაძე, ძარია (ალვარო 89), ჩისკო (რობერტინიო 83), მერებაშვილი (ტვილდიანი 74), ვოსკობოინიკოვი (იაგუე 60), თექთურმანიძე (კოტო 46)

ფენერბაჰჩე: ვოლკანი, სამი, ირტეგუნი, ქორქმაზი, კალდირიმი, მეჰმეთ ტოპალი, კრისტიან ბარონი, მეჰმეთ თოფუზი, ალექსი, სტოხი, კიუტი

დინამოელები მომდევნო შეხვედრას 26 ივლისს, ბეროესთან გამართავენ, შემდეგ კი პოლონურ „გურნიკთან“ დაპირისპირებაც ელის.

ქუთაისის „ტორპედო“ კი აზერბაიჯანულ „ყარაბახს“ ეთამაშა. ცნობისთვის, 2008 წელს დაარსებულმა მეტოქემ, საკუთარ ისტორიაში წელს პირველად მოიპოვა აზერბაიჯანის პრემიერლიგის საგზური. ამჟამად, გუნდი ადგილობრივი კადრებით არის დაკომპლექტებული.

ტორპედოელებმა საწადელს თამაშის 38-ე წუთზე მიაღწიეს, როცა მეტოქის საჯარიმოში შესულმა ვალერი ბოლქვაძემ რამდენიმე ოპონენტი ჩამოიტოვა და ზუსტადაც დაარტყა – 1:0.

პირველი ტაიმის ბოლოს, ქუთაისელთა კარიდან 5 მეტრის მოშორებით დანიშნული თავისუფალი დარტყმა სტუმრებმა გამოიყენეს და სამირ კულიევის დარტყმული ბურთი კარში აღმოჩნდა – 1:1.

ქუთაისელთა რიგებში პირველად ითამაშეს ახალწვეულმა ცენტრალურმა მცველმა გიორგი გაგნიძემ და დუბლებიდან დაწინაურებულმა თავდამსხმელმა გია ღვიტიძემ.

ტორპედო: ქვილითაია (კუპატაძე 71), ა.კვახაძე (ტაბატაძე 73), რიგვავა (იოსელიანი 46), ზ.ჭელიძე, გ.გურული (შერგელაშვილი 46), გ.დათუნაიშვილი (გიგაური 46), ფირცხალავა, ვ.ბოლქვაძე (ღვიტიძე 58), ე.გრიგალაშვილი, დოლიძე (კუხიანიძე 46), საბანაძე (გაგნიძე 71).

ახალ სეზონში აწ უკვე საფეხბურთო კლუბი „მგლები“, რომელიც „ბაიას“ სახელით გამოდიოდა, ისევ ახალი სახელით ითამაშებს – „ზუგდიდი“. აღსანიშნავია, რომ გუნდი საკმაოდ გაძლიერებული ხვდება მომავალ სეზონს და ხელწამოსაკრავი მეტოქე არავისთვის იქნება. 23 ივლისს ზუგდიდელები შეკრების გასავლელად თურქეთში გაემგზავრა, სადაც ათ დღეს დაჰყოფს და სავარაუდოდ, ოთხ საკონტროლო შეხვედრას გამართავენ: 25, 28, 30 ივლისსა და 2 აგვისტოს.

ახლა ახალწვეულებზე: „ზუგდიდმა“ დაიმატა გამოცდილი მცველი სევასტი თოდუა, კამერუნელი მცველი ბოიომო, მარჯვენა მცველი დაჩი ფოფხაძე, დისკვალიფიკაციამოხდილი როინ ონიანი, ნახევარმცველი დავით ბოლქვაძე, „დინამოს“ ყოფილი კაპიტანი ალექსანდრე კოშკაძე, „გაგრადან“ წასული შემტევი გიორგი გაბედავა. „ზუგდიდშია“ ზამირ ჯანაშიაც. სულ ბოლოს კი გუნდს შეუერთდა კიდევ ერთი გამოცდილი ფეხბურთელი – ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილი კაპიტანი, 30 წლის დავით გამეზარდაშვილი.

# ანტონიო კონტე: მოვა დრო და იუვეს“ ჩამორთმეულ სკუდეტოებს დაუბრუნებენ“

სერია ა-ს გასული სეზონის აღმოჩენა ტურინის „იუვენტუსი“ რომ გახდა, ამაში სადავო არაფერია. გუნდმა ტრიუმფით დაასრულა სეზონი და ამ წარმატების მთავარ შემოქმედად ანტონიო კონტე მიიჩნიეს.

ახალგაზრდა მწვრთნელმა ახალი გუნდის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი და შედეგი იმაზე უფრო სწრაფად მიიღო, ვიდრე ეს ბევრს წარმოედგინა.

ტურინული კლუბის ხელმძღვანელობა მიმდინარე სატრანსფერო ბაზარზეც აქტიურობს და, სავარაუდოდ, „ბიანკონერი“ მომდევნო სეზონში კიდევ უფრო ძლიერი იქნება.

კონტეს ინტერვიუ იტალიურ მედიაში გამოქვეყნდა.



***– კმაყოფილი ხართ მოსამზადებელი ეტაპით?***

– ძალიან, რადგან თითოეული ფეხბურთელი ბოლომდე იხარჯება და შესაძლებლობის ზღვარზე ვარჯიშობს. როდესაც ამას ვუყურებ, მეტი ოპტიმიზმი მიჩნდება, რადგან წარმატების მთავარი საიდუმლო პროფესიონალიზმსა და საქმისადმი სწორ მიდგომაშია. სადღეისოდ, ფიზიკური კონდიციის გაუმჯობესებაზე ვაკეთებთ აქცენტს, აგვისტოდან კი ბურთზე ვარჯიშზე გადავალთ. თუმცა, უკვე ჩავატარეთ რამდენიმე ამხანაგური მატჩი და თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ნამდვილად არ დავრჩენილვარ.

***– სერია ა-ს გასული სეზონი წაუგებლად დაამთავრეთ და ჩემპიონი გახდით. მოტივაციასთან დაკავშირებით პრობლემები ხომ არ გაქვთ?***

– ფეხბურთელები თითოეულ ვარჯიშზე ბოლომდე იხარჯებიან და, შესაბამისად, მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემები მათ ნამდვილად არ შექმნიათ. იგივე შემიძლია ვთქვა ჩემ თავზეც – უდიდესი ენთუზიაზმი მამოძრავებს და ამ მხრივ პრობლემებს არ ვუჩივი. ჯერ კიდევ ბევრი რამე გვაქვს მოსაგები და ერთი სკუდეტოთი ვერ დავკმაყოფილდებით. ისიც კარგად ვიცით, რომ ამიერიდან ჩვენ წინააღმდეგ თითოეული მეტოქე გაორმაგებული ენერგიით ითამაშებს და ეს უკვე დამატებითი მოტივაციაა ჩვენთვის.

***– ამასთან, უკვე დიდი ხანია, რომ „იუვენტუსს“ ევროარენაზე არ გაუბრწყინია.***

– დიახ, ჩვენი სიტყვა უკვე ევროპული მასშტაბითაც გვაქვს სათქმელი და ამას მომდევნო სეზონშივე ვაპირებთ. ჩემპიონთა ლიგაზე კონტინენტის უძლიერესი გუნდები თამაშობენ და კარგად მესმის, რომ ეს იოლი არ იქნება. თუმცა, განწყობა მაინც ოპტიმისტური მაქვს. „იუვეს“ აქვს იმის ძალა და შესაძლებლობა, რომ ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე წარმატებით გამოვიდეს.

***– რამდენად კმაყოფილი ხართ კლუბის სატრანსფერო პოლიტიკით?***

– უკმაყოფილების საბაბი არც ამ კუთხით მაქვს, რადგან კლუბის მესვეურები ყველანაირად ცდილობენ სასურველი ტრანსფერები გაჩარხონ. მაგალითად, კვადვო ასამოასა და ლუსიოს სახით ძალიან ძლიერი ფეხბურთელები დავიმატეთ. დარწმუნებული ვარ, რომ გუნდს მნიშვნელოვნად გააძლიერებენ. რაც შეეხება წინა ხაზს, ერთი ექსტრა-კლასის ფორვარდის გადაბირებაზე უარს ნამდვილად არ ვიტყოდით და ვნახოთ, ყველაფერი აგვისტოში გამოჩნდება.

***– ამბობენ, რომ თქვენი მთავარი სამიზნე რობინ ვან პერსია.***

– ბრწყინვალე ფორვარდია, მაგრამ არა მგონია, რომ „იუვენტუსში“ გადმოვიდეს, რადგან თავადვე რამდენჯერმე განაცხადა, რომ იტალიაში თამაშის სურვილი არ აქვს და თუ ასეა, სადაც არის, წარმატებებს ვუსურვებ. ვან პერსის გადაბირების სურვილი ნამდვილად გვაქვს, მაგრამ ეს საკითხი დღის წესრიგში აღარ დგას.

***– გასულ სეზონში, ძირითადად 3-5-2 ტაქტიკას იყენებდით, შეცვლით საბაზო სქემას?***

– ამის არავითარი საფუძველი არ მაქვს და 3-5-2-ს ისევე ხშირად გამოვიყენებთ, როგორც გასულ სეზონში. აღნიშნული ტაქტიკა ძალიან მომწონს, რადგან შეტევით ფაზაში ხუთი ნახევარმცველი გვყავს, დაცვის დროს კი ამდენივე მცველი. ვფიქრობ, რომ ფეხბურთელებიც ისეთი სტილის გვყავს, რომ ამ სქემას იოლად ერგებიან. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა ტაქტიკურ მონახაზს არ გამოვიყენებთ. მაგალითად, „ბარიში“ მუშაობის დროს, მუდმივად 4-4-2-ს ვიყენებდი და ეს სქემა ძალიან კარგად მაქვს დაცდილი.

***– გასულ სეზონში, მთავარ კონკურენტად „მილანი“ გყავდათ, რომელიც ამ ზაფხულს უამრავმა ფეხბურთელმა დატოვა. ეს თქვენს წისქვილზე ასხამს წყალს.***

– თქმა არ სჭირდება, რომ ზლატან იბრაჰიმოვიჩის სრულფასოვანი შეცვლა მილანელებს ძალიან გაუჭირდებათ. ეს ის ფეხბურთელია, რომელსაც სეზონში 25-ზე მეტი გოლი გააქვს, რაც ფანტასტიკური მაჩვენებელია. გამომდინარე აქედან, უნდა დაგეთანხმოთ, რომ „მილანი“ ამ მომენტისთვის დასუსტებულია. თუმცა, წინ აგვისტოა და დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიმე უმაღლესი კლასის ფეხბურთელს მაინც დაიმატებენ. ნებისმიერ შემთხვევაში, „როსონერი“ ისევ იბრძოლებს სკუდეტოსთვის, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

***– კიდევ ერთ მთავარ კონკურენტ „ინტერზე“ რას იტყვით?***

– „ინტერში“ ძალიან საინტერესო ცვლილებები ხდება და როგორ აისახება ეს გუნდზე, დრო გვიჩვენებს. დღეს, ძალიან რთულია რაიმე პროგნოზების გაკეთება და ვარაუდების გამოთქმა. „ინტერი“ დიდი გუნდია, ყოველთვის უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის და ალბათ, ასე იქნება მომდევნო სეზონშიც. დანარჩენს დრო გვიჩვენებს და ნუ გავუსწრებთ წინ მოვლენებს.

***– დიდი ვნებათაღელვაა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი ვარსკვლავი უნდა ეხატოს მაისურზე „იუვენტუსს“, თქვენ რა პოზიცია გაქვთ ამასთან დაკავშირებით?***

– ჩემი პოზიცია ისეთივეა, როგორიც „იუვენტუსის“ ნებისმიერი წევრის – მაისურზე სამი ვარსკვლავი უნდა გვეწეროს, მაგრამ რადგან ამის საშუალებას არ გვაძლევენ, მაშინ არც ერთი არ დავიხატეთ. ვფიქრობ, ეს გონივრული გადაწყვეტილება იყო, რომელიც გულშემატკივრებმაც მოიწონეს. მოვა დრო და „იუვეს“ ჩამორთმეულ სკუდეტოებს დაუბრუნებენ. ეს აუცილებლად მოხდება და არ აქვს მნიშვნელობა, იმ მომენტში სად ვიქნები მე.

# მიხეილ ბერუაშვილი: კანდიდატებს მთელი წლის განმავლობაში ვაკვირდებოდით“

საქართველოს 18-წლამდელ კალათბურთელთა ნაკრები კონტინენტის პირველობისთვის შუა სამზადისშია. ბ დივიზიონის მატჩებს 9-დან 19 აგვისტოს ჩათვლით ბოსნია-ჰერცეგოვინის დედაქალაქი სარაევო უმასპინძლებს.

ეროვნული გამოცდების გამო, 18-წლამდელთა გუნდის კალათბურთელები ვარჯიშებზე ჩვეულ რიტმში სიარულს ვერ ახერხებდნენ, ამჟამად კი, მიხეილ ბერუაშვილის ნაკრები უკვე სრული შემადგენლობით ვარჯიშობს. ჭაბუკები 28 ივლისს ესტონეთში გაემგზავრებიან, სადაც 3 საკონტროლო მატჩს გამართავენ.

ნაკრების მთავარი მწვრთნელის, მიხეილ ბერუაშვილის ინტერვიუ კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***– ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება როდიდან დაიწყეთ?***

– შეკრება 10 ივნისიდან ფიზიკური ვარჯიშებით დავიწყეთ, ხოლო 3 ივლისიდან უკვე დარბაზში შევედით და ბურთთან ერთად ორჯერად ვარჯიშებზე გადავედით.

***– რამდენი კანდიდატი გამოიძახეთ შეკრებაზე?***

– კანდიდატების შერჩევა ახლა არ დაგვიწყია. მთელი გასული წლის განმავლობაში, ვარჯიშებზე სხვადასხვა გამორჩეულ კალათბურთელებს ვიბარებდით. მთლიანობაში ორმოცამდე მოთამაშე გამოვცადეთ, საიდანაც 17-18 დავიტოვეთ. სამწუხაროდ, ტრავმებისა და ეროვნული გამოცდების გამო, სრულ შემადგენლობას თავს ვერ ვუყრიდით. რამდენიმე დღეა, გამოცდები დასრულდა და მოთამაშეები სრული დატვირთვით ვარჯიშობენ. შეზღუდული არავინაა. ერთადერთი ბექა ბურჯანაძე გვაკლია, რომელმაც 20-წლამდელთა ნაკრებში ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა და, სავარაუდოდ, ხვალიდან შემოგვიერთდება.

***– ტრავმირებულების საქმე როგორაა?***

– ალექსანდრე ბოლქვაძეს ხერხემლის პრობლემები აქვს და, სავარაუდოდ, ოპერაცია დასჭირდება. ის ევროპის ჩემპიონატზე ვერ წამოვა. ლევან ლოლიშვილს კუნთი აქვს დაზიანებული და თუკი რეაბილიტაციას მოასწრებს და ფორმაში შევა, ძირითად გუნდში შევიყვანთ.

***– მოსამზადებელ მატჩებს თუ გეგმავთ?***

– 28 ივლისს ესტონეთში მივემგზავრებით, სადაც საერთაშორისო ტურნირზე სამ საკონტროლო მატჩს ჩავატარებთ. ესტონეთიდან დაბრუნების შემდეგ გაირკვევა ის შემადგენლობა, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება.

***– როგორ შეაფასებთ პირველ ჯგუფურ ეტაპზე ჩვენს მეტოქეებს?***

– მოგეხსენებათ, ასაკობრივ ნაკრებებში შემადგენლობა ყოველწლიურად იცვლება. ამ თაობის უმეტესობა გასულ წელს 16–წლამდელებში თამაშობდა. როგორც კადეტთა მწვრთნელ გია კაზანჯიანისგან ვიცი, ჩვენს პირველ მეტოქე ჰოლანდიას საკმაოდ კარგი გუნდი ჰყავს. არც პორტუგალია, ბოსნია-ჰერცეგოვინა და ბელგია არიან ხელწამოსაკრავნი.

***– სხვა ასაკობრივი ნაკრებებისგან განსხვავებით, 18-წლამდელებს სიმაღლის პრობლემა არ აწუხებთ.***

– სხვა ნაკრებებთან შედარებით, ნამდვილად უკეთესი მდგომარეობაა. მარტო ის რად ღირს, რომ მერაბ მირზიაშვილი 210 სანტიმეტრი სიმაღლისაა. ზოგადად, საკმაოდ დაბალანსებული შემადგენლობა გვყავს, მაგრამ სამუშაო ბევრია. ვცდილობთ, ყველა კომპონენტში საუკეთესოდ მოვემზადოთ და ევროპის ჩემპიონატზე სრულ მზადყოფნაში გავემგზავროთ.

# ესპანეთი თუ ბრაზილია

ოლიმპიადაზე ფეხბურთი დიდად პოპულარულ სახეობად არ ითვლება, თუმცა წელს გაცილებით პრესტიჟული სახე მიიღო. ამის მიზეზი ის არის, რომ ბევრი წამყვანი და მაღალი კლასის ფეხბურთელი უარს არ ამბობს ამ ტურნირში თამაშზე.

ცხადია, მთავარ ფავორიტებად ესპანელები და ბრაზილიელები მიიჩნევიან, რომელთაც საკმაოდ კარგი შემადგენლობები ჰყავთ ჩაყვანილი ლონდონში.

ესპანეთის მეფემ ხუან კარლოსმა ესპანეთის ნაკრებს 2012 წლის ოლიმპიადაზე წარმატებები უსურვა.

– თქვენ დამწყები ფეხბურთელებისთვის მაგალითი უნდა იყოთ. ასე რომ, უდიდესი პასუხისმგებლობა გაკისრიათ. დარწმუნებული ვარ, ეს კარგად გაქვთ გაანალიზებული. მონდომება არ გაკლიათ და წარმატებას გისურვებთ.

ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელი ნეიმარიც ძალიან ოპტიმისტურად არის განწყობილი.

– თუ ისე ვითამაშებთ, როგორც ბრაზილიას შეეფერება, მაშინ ჯილდოს აუცილებლად მოვიპოვებთ. ვიცი, საუბარი ადვილია, მაგრამ თავდაჯერებულები ვართ. რაც მთავარია, მონდომება არ გვაკლია და მიზნის მისაღწევად უკან არ დავიხევთ, აცხადებს ბრაზილიელი შემტევი.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**რუსეთი. პრემიერლიგა**

კრასნოდარი-რუბინი .................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზენიტი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 2.ლოკომოტივი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| 3.სპარტაკი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 4.ანჟი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 5.კრასნოდარი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 6.ცსკა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| 7.ვოლგა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| 8.კრ.სოვეტოვი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 9.ტერეკი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 10.მორდოვია | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| 11.ალანია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 12.ყუბანი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 13.რუბინი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 14.როსტოვი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 15.დინამო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 16.ამკარი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

**დანია. სუპერლიგა**

ორხუსი-ესბიერგი ........................ 0:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

გაისი-მიოლდე ............................ 2:3
ნორჩიოპინგი-დიურგარდენი ....... 1:1

**ნორვეგია. ტიპელიგა**

რუსენბორგი-ლილესტრიომი ...... 1:1

**კალათბურთი**

**ამხანაგური მატჩები. კაცები**

სერბეთი-ლატვია ...................... 91:68
საფრანგეთი-ავსტრალია ........ 67:69

**ჩოგბურთი**

**აშშ. ლოს ანჯელესი. ქალები**

კუნიცინი-კაპდევილია ........... 4:6;6:7
სოკი-ჩიპოლა .......................... 3:6;1:6
ბეიკერი-რამი .......................... 6:7;5:7

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ოლიმპიადის გახსნა საზეიმო იქნება

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ უარყო პოლიტიკოსთა მოწოდებები იმის თაობაზე, რომ ლონდონის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე წუთიერი დუმილით მიეგოთ პატივი 1972 წელს ანალოგიურ თამაშებზე დაღუპული ებრაელი სპორტსმენების ხსოვნას.

შეგახსენებთ, რომ ეს 1972 წლის 5 სექტემბერს პალესტინელი ბოევიკების ტერაქტს ისრაელის დელეგაციის 11 წევრი და ერთი გერმანელი პოლიციელი ემსხვერპლა. ამ ტრაგედიის 40 წლისთავზე აშშ-ის, ისრაელისა და გერმანიის პოლიტიკოსებმა მოუწოდეს ოლიმპიურ კომიტეტს, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ დაღუპულთა ხსოვნისთვის.

– ჩვენ მიგვაჩნია, რომ თამაშების გახსნის ატმოსფერო სრულიად არ არის შესაფერისი იმისთვის, რომ ეს ტრაგიკული მომენტი გავიხსენოთ, – განაცხადა როგემ.

სამაგიეროდ, როგემ აღნიშნა, რომ მონაწილეობას მიიღებს ცერემონიაში, რომელიც სექტემბერში გერმანიაში გაიმართება და ის 1972 წლის მოვლენებს მიეძღვნება. ამასთან დაკავშირებით, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ლონდონის თამაშების დროსაც აპირებს სპეციალური მიღების ორგანიზებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არასაპატიმრო სასჯელების და გირაოს რაოდენობა გაიზარდა

სასამართლო ხელისუფლებამ 2012 წლის 6 თვის სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნა. 2012 წლის 6 თვის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სასამართლოებში ნაკლები სისხლის სამართლის საქმეები შედის (რაც იმის დასტურია, რომ იკლო დანაშაულმა), სასამართლოებს სულ უფრო მეტი მოქალაქე მიმართავს (სასამართლოს მოსახლეობა უფრო მეტად ენდობა) და სულ უფრო ნაკლებ მსჯავრდებულს შეეფარდება სასჯელის ზომა თავისუფლების აღკვეთა. სასამართლოს 2012 წლის 6 თვის სტატისტიკა ციფრებში ასე გამოიხატება:










### ნაკლები სისხლის სამართლის საქმეები და მეტი არასაპატიმრო სასჯელები

2012 წლის 6 თვეში, 2011 წლის 6 თვესთან შედარებით, I ინსტანციის სასამართლოებში შესული სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა შემცირდა 1311 საქმით, ანუ 18,2 პროცენტით. თუ 2011 წლის 6 თვეში სასამართლოებში შევიდა 7218 საქმე, 2012 წლის იგივე პერიოდში საქმეთა რაოდენობამ მხოლოდ 5907 შეადგინა.

შესაბამისად, 2012 წლის 6 თვეში, 2011 წლის 6 თკესთან შედარებით, პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა შემცირდა 2692 პირით, ანუ 27,9 პროცენტით. თუ შარშან 6 თვეში 9667 მსჯავრდებული იყო, წელს ანალოგიურ პერიოდში 6971 მსჯავრდებულია.

სისხლის სამართლის საქმეთა სტატისტიკის ანალიზიდან ირკვევა, რომ საქმეთა განხილვის შედეგად, მოსამართლეები უმეტესად არასაპატიმრო სასჯელებს იყენებენ. 2012 წლის 6 თვეში მსჯავრდებული 6971 პირიდან: თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 2953 პირს (სულ მსჯავრდებულთა 42,4 პროცენტს) პირობითი მსჯავრი - 3299 პირს (შესაბამისად, 47,3 პროცენტს);

ჯარიმა - 413 პირს (5,9 პროცენტი); საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა - 304 პირს (4,4 პროცენტი).

ანუ, მიმდინარე წლის 6 თვეში არასაპატიმრო სასჯელების რაოდენობა 57,6 პროცენტი გახლდათ. აქვე აღსანიშნავია, რომ სასამართლო სულ უფრო ხშირად იყენებს სასჯელად საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას.

### გაიზარდა გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა

2012 წლის 6 თვეში გამამართლებელი განაჩენი გამოტანილია 83 პირის მიმართ, რაც არსებითად განხილული საქმეების 9,6 პროცენტია და წინა წლის მონაცემს 64 პირით, ანუ 3,4-ჯერ აღემატება.

გარდა ამისა, საქმე შეწყდა 25 პირის მიმართ, რაც არსებითად განხილული საქმეების 2,9 პროცენტია. ეს მაჩვენებელი წინა წლის მონაცემს - 2 პირით, ანუ 8,7 პროცენტით აღემატება.

2012 წლის 6 თვეში საპროცესო შეთანხმებით დამთავრდა სულ განხილულ საქმეთა 88 პროცენტი, რაც 1,7 პროცენტით აღემატება 2011 წლის 6 თვის მონაცემებს.

გარდა ამისა, 2012 წლის 6 თვეში 21 პირის მიმართ არ დამტკიცებულა შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმებაზე და საქმე დაუბრუნდა პროკურატურას, რაც 20-ჯერ აღემატება 2011 წლის 6 თვის მონაცემებს.

2012 წლის 6 თვეში, 2011 წლის 6 თვესთან შედარებით 15,5 პროცენტით შემცირდა საგამოძიებო ორგანოებიდან პირველი ინსტანციის სასამართლოებში აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე შესული შუამდგომლობების რაოდენობა, შესაბამისად, შემცირდა შეფარდებული აღმკვეთი ღონისძიებების რაოდენობაც. 2012 წლის 6 თვეში, წინა წელთან შედარებით, აღკვეთის ღონისძიების გამოყენება შემცირდა 795-ით, ხოლო გირაოს ხვედრითმა წილმა სულ შეფარდებულ აღმკვეთ ღონისძიებებში შეადგინა 57,7 პროცენტი.

აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობისა და არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების შეფარდება ასეთია: პატიმრობა 42,2 პროცენტი, ხოლო არასაპატიმრო აღკვეთი ღონისძიება 57,8 პროცენტი.

ანუ 7 პროცენტით შემცირდა ერთის მხრივ, საპატიმრო აღკვეთი ღონისძიებების გამოყენება და მეორე მხრივ, 7 პროცენტით გაიზარდა არასაპატიმრო აღკვეთი ღონისძიებების გამოყენება.

### სასამართლოს სულ უფრო მეტი მოქალაქე მიმართავს

2012 წლის 6 თვეში პირველი ინსტანციის სასამართლოებში წინა წელთან შედარებით შესულია 954-ით ანუ 6 პროცენტით მეტი სამოქალაქო საქმე და 375-ით ანუ 7,9 პროცენტით მეტი ადმინისტრაციული საქმე. ამ კატეგორიის საქმეების ზრდა კი პირდაპირპროპორციულად უკავშირდება სასამართლოს მიმართ მოქალაქეთა გაზრდილ ნდობას.

34 საქმით, ანუ 21,1 პროცენტით შემცირდა მენარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე შემოსული და განხილული საქმეების რაოდენობა.

მიმდინარე წელს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტზე დადგენილება გამოტანილი იქნა 9441 პირის მიმართ (20,6 პროცენტით ნაკლები, ვიდრე გასული წლის 6 თვეში).

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2012 წლის 6 თვეში საკასაციო საჩივრით განიხილა 524 ადმინისტრაციული საქმე, აქედან, ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ დამთავრდა 298 საქმე, ანუ 56,9 პროცენტი. ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ კი - 225 საქმე, ანუ 42,9 პროცენტი. საგადასახადო დავებზე განხილული იყო 58 საკასაციო საჩივარი, აქედან საგადასახადო ორგანოების სასარგებლოდ დამთავრდა 27 საქმე - 46,6 პროცენტი, ფიზიკური პირების სასარგებლოდ კი - 28 საქმე, ანუ 48,3 პროცენტი.

აღსანიშნავია, რომ, როგორც სტატისტიკის ანალიზიდან ირკვევა, შენარჩუნებულია საქმეთა გასაჩივრების დაბალი პროცენტი. 2012 წლის 6 თვეში განხილული სისხლის სამართლის საქმეებიდან გასაჩივრდა 228 საქმე - მხოლოდ 5,8 პროცენტი; 1028 სამოქალაქო საქმე ანუ 8,7 პროცენტი და 586 ადმინისტრაციული საქმე ანუ 17 პროცენტი.

### "სტატისტიკა, რომელიც ნებისმიერ განცხადებაზე მყარია"

ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ ინტერვიუში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზაზა მეიშვილმა აღკვეთი ღონისძიებების სტატისტიკაზე ისაუბრა, რომლის მცირე მონაკვეთსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ.

**უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზაზა მეიშვილი:**

- არსებობს სტატისტიკა, რომელიც ნებისმიერ განცხადებაზე მყარია. 2012 წლის 6 თვის სტატისტიკით, არსებითად განხილულ საქმეებზე გამოტანილი განაჩენების 10 პროცენტზე მეტი გამამართლებელი იყო. ანუ, 100-დან 10 ადამიანზე მეტი გამართლდა. ამას თუ დავუმატებთ ნაწილობრივ გამართლებას და შეწყვეტილ საქმეებს, გამამართლებელი განაჩენების მაჩვენებელი 12 პროცენტს აჭარბებს. როგორც ვიცი, გამამართლებელი განაჩენების ზრდის ტენდენცია კვლავ შეინიშნება. აღსანიშნავია, რომ ბევრ ევროპულ ქვეყანაში გამამართლებელი განაჩენების მაჩვენებელი გაცილებით დაბალია - 1-2 პროცენტი.

თუ ვინმეს სურს, ყოველი მეორე ადამიანი გამართლდეს, ეს სამართლებრივი კატასტროფა იქნება. ასეთ შემთხვევაში, გამოვა, რომ ბრალდების მხარე სათანადოდ არ მუშაობს, უდანაშაულო ადამიანებს აპატიმრებს ან სასამართლო კორუფციულ გარიგებაში შედის მხარესთან და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ საპროცესო შეთანხმებით მიღწეული შედეგიც საკმაო წარმატებაა. თუ ბრალდებულმა 15 წლის ნაცვლად, მხარესთან შეთანხმების საფუძველზე 7 წელი მიიღო, ეს არ არის გამარჯვება? აღსანიშნავია, რომ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში საპროცესო შეთანხმება საკმაოდ მიღებული მეთოდია და საქმეების დიდი ნაწილი სწორედ ამგვარად სრულდება. ჩვენი მსგავსი მოდელი მუშაობს აშშ-ში, სადაც 98 პროცენტამდეა ასული საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეების მაჩვენებელი. საქმეების მხოლოდ 2-3 პროცეტია განხილული არსებითად და შეიმჩნევა ტენდენცია, რომ ეს რიცხვი კიდევ კლებულობს.

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი შეჯიბრებითი პროცესის იდეასაც გულისხმობს. როგორც გითხარით, შეჯიბრებითობა გულისხმობს იმას, რომ მხარეები, რომლებსაც სხვადასხვა პოზიციები გააჩნიათ, ერთმანეთს ფაქტებითა და მტკიცებულებებით ეჯიბრებიან საკუთარი პოზიციების დამტკიცებაში. იმ შემთხვევაში, როცა მხარე - ბრალდებული, მეორე მხარის - ბრალდების პოზიციას ეთანხმება და მას აღიარებს, პროცესი მარტივდება. ეს ნიშნავს იმას, რომ მხარეები თანხმდებიან, როგორც ბრალზე, ასევე, სასჯელზე და სასამართლო ამოწმებს მის კანონიერებას და სამართლიანობას.

საპროცესო გარიგება არის მხარეების შეთანხმება, მათი კომუნიკაცია და პოზიციების დაახლოება. რომ ნახოთ საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეები, ყველა შემთხვევაში, განაცხადი გაკეთებული აქვს ბრალდებულს. საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას, მხარეა ბრალდებული, რომელსაც იურიდიულ კონსულტაციას უწევს ადვოკატი. თუ ბრალდებულს ვინმე აიძულებს საპროცესო შეთანხმების დადებას, არსებობს ბერკეტები, რომელიც ადვოკატმა უნდა გამოიყენოს ბრალდებულის უფლებების დასაცავად.

პროკურატურასა და ბრალდებულს შორის საპროცესო გარიგების პირობებზე შეთანხმების შემდეგ, საქმე გადადის სასამართლოში. მოსამართლე ამოწმებს ყველა გარემოებას: ხომ არ მომხდარა იძულება, ზეწოლა და ა.შ. თუ ბრალდებული გამოთქვამს პრეტენზიას, რა თქმა უნდა, მოსამართლე არ დაამტკიცებს შეთანხმებას. გარდა ამისა, დამტკიცებული საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების საშუალებაც არსებობს. იყო შემთხვევები, როცა ბრალდებულებმა, რომლებმაც საპროცესო შეთანხმება მოითხოვეს, მოგვიანებით გაასაჩივრეს ეს პროცედურა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მოთხოვნის გარდა, მათი საჩივარი მტკიცებულებებზე არ იყო დაყრდნობილი.

აქვე აღსანიშნავია, რომ ასევე, საგრძნობლადაა გაზრდილი ჯარიმის გარეშე დამტკიცებული საპროცესო შეთანხმებების რიცხვი.

# აშშ სირიაში არსებულ სიტუაციაში სამხედრო ჩარევას არ გეგმავს



აშშ სირიაში არსებულ სიტუაციაში სამხედრო ჩარევას ან ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრას არ გეგმავს. როგორც თეთრი სახლის პრეს-მდივანმა ჯეი კარნიმ განაცხადა, პრეზიდენტი ბარაკ ობამა თვლის, რომ ასეთი ქმედებები სწორი არ არის.

ამასთან, კარნიმ აღნიშნა, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია აპირებს, სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადის თანამდებობიდან გადადგომას მიაღწიოს. ამის გაკეთებას კი ვაშინგტონი სანქციებისა და საერთაშორისო იზოლაციით აპირებს. გარდა ამისა, ვაშინგტონი ამ სამუშაოს სხვა ქვეყნებთან ერთად გააგრძელებს და სირიის ოპოზიციას არასამხედრო დახმარებას აღმოუჩენს.

როგორც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა განაცხადა, აშშ აპირებს, უფრო აქტიურად იმოქმედოს არა გაეროს უშიშროების საბჭოს მეშვეობით, სადაც რუსეთმა და ჩინეთმა სირიის შესახებ უკვე მესამე რეზოლუცია დაბლოკეს, არამედ სხვა დიპლომატიური არხებით.

ამასთან, აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ სირიის ხელისუფლება ქიმიური იარაღის გამოყენების შემთხვევაში, პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა.

— ბაშარ ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენება ტრაგიკულ შეცდომამდე მიგვიყვანს. ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას, რომ სირიელ ხალხს უკეთესი მომავალი ჰქონდეს და ასადის რეჟიმისგან გათავისუფლდეს, — განაცხადა ობამამ.

ბოლო დღეებში ისრაელმა და აშშ-მა სირიის ამჟამინდელი რეჟიმის შეცვლის შემთხვევაში სპეციალური გეგმის შემუშავება დაიწყეს. კერძოდ, ისინი ამუშავებენ ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც რეგიონში ქიმიური იარაღის გაუვრცელობისკენ იქნება მიმართული.

ერთ კვირის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ სირიელმა სამხედროებმა საწყობებიდან ქიმიური საბრძოლო მასალების გამოტანა დაიწყეს, თუმცა რა მიზნით, ჯერჯერობით უცნობია.

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განცხადებით, ბაშარ ასადის არაკონსტიტუციური გადადგომა, ქვეყანაში დაუსრულებელ სამოქალაქო ომს გამოიწვევს.

— რუსეთი შიშობს, რომ თუ ასადი არაკონსტიტუციური გზით გადადგა, ოპოზიცია და დღევანდელი ხელისუფლება უბრალოდ ადგილებს გაცვლიან, ქვეყანაში კი სამოქალაქო ომი გაგრძელდება. ჩვენ არ გვსურს ქვეყანაში სისხლისღვრის გაგრძელება, — აცხადებს პუტინი.

რუსეთის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ გაეროს დამკვირვებლების ვადის გაგრძელებამ აჩვენა, რომ შეთანხმება სირიის ხალხის საკეთილდღეოდ, ყველაფერზე შეიძლება.

გაეროს გენერალურმა მდივანმა შეშფოთება გამოთქვა დამასკოს განცხადებაზე ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ. სირიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აღნიშნა, რომ ქვეყანაში უცხოური ინტერვენციის საფრთხის შემთხვევაში, ხელისუფლება ქიმიურ იარაღს გამოიყენებს.

— უნდა დაისაჯოს ის, ვინც შეეცდება სირიაში ქიმიური იარაღი გამოიყენოს. მე გულწრფელად მჯერა იმის, რომ საერთაშორისო საზოგადოება ყურადღებით მიადევნებს თვალყურს, რათა მსგავსი რამ არ მოხდეს, — განაცხადა სპეციალურ პრესკონფერენციაზე პან გი მუნმა.

სირიის თავისუფალი არმიის განცხადებით კი, რომელიც ოპოზიციის მხარეს იბრძვის ბაშარ ასადი ქიმიურ იარაღს აეროპორტებში ათავსებს.

— ასადმა ქიმიური კომპონენტების შემრევი დანადგარების ნაწილი და შეიარაღება აეროპორტებში განათავსა, ქვეყნის საზღვრებთან ახლოს, — ნათქვამია თავისუფალი არმიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში და აღნიშნულია, რომ სირიის თავისუფალი არმიის გაერთიანებულმა სარდლობამ კარგად იცის ის ადგილები, სადაც ეს იარაღია განთავსებული.

შეგახსენებთ, სირიის ხელისუფლების ოფიციალურმი წარმომადგენლის ჯიჰად მაკდისის განცხადებას, მისი ქვეყანა ქიმიურ იარაღს მხოლოდ უცხოური ინტერვენციის შემთხვევაში გამოიყენებს.

ამასთან, მან აღნიშნა, რომ სირიის ამჟამინდელი ხელისუფლება საბრძოლო მომწამვლელ ნივთიერებას საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ არანაირ პირობებში არ გამოიყენებს.

მაკდისის თქმით, ამჟამად ქიმიური იარაღის მარაგი სირიის არმიის საიმედო დაცვის ქვეშ იმყოფება, რომელიც მისი ტერორისტების ხელში მოხვედრას არ დაუშვებს.

ადრე სირიის ხელისუფლებას არასოდეს ულიარებია, რომ ქიმიურ იარაღს ფლობს, თუმცა არც მისი ქონა უარუყვია.

# ჰონგ კონგს თავს უძლიერესი ქარიშხალი დაატყდა

„ევრონიუსის" ინფორმაციით, გამთენიისას ჰონგ კონგს ბოლო 13 წლის მანძილზე, ყველაზე უძლიერესი ქარიშხალი დაატყდა თავს. ქარიშხალს ყველაზე მაღალი, მე-10 ხარისხის კვალიფიკაცია მიანიჭეს. ქარიშხლის სიჩქარე საათში 140 კმ/სთ-ში შეადგენდა.

მიუხედავად იმის, რომ მოსახლეობა წინასწარ იყო გაფრთხილებული, დახურული იყო აეროპორტები, სკოლები, დაწესებულებები, მოსახლეობას ზიანი მაინც მიადგა. დაშავებულია 100-ზე მეტი ადამიანი, რომელთა შორისაც ყველაზე უმცროსი 4 წლისაა, ყველაზე უფროსი კი 86 წლის.

ჰონკონგის ხელისუფლებამ 24 საათიანი თავშესაფრები გახსნა, სადაც მოსახლობა ქარიშხალს თავს აფარებს. ზოგიერთ რაიონში ქარიშხალმა წყალდიდობები გამოიწვია.

ჰონგკონგი ჩინეთის ავტონომიური ერთეულია, დიდი ბრიტანეთის ყოფილი კოლონია სამხრეთ-ჩინეთის ზღვის სანაპიროზე. ადრე ჩინეთის ნაწილი იყო, 1841 წელს დაიკავა ინგლისმა. 1941-45 წლებში ოკუპირებულ იყო იაპონიის მიერ.

ჰონკონგი მსოფლიოს ყველაზე ლიბერალური ეკონომიკის ქალაქი და ფინანსებისა და ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ცენტრია. ყოფილი ბრიტანეთის კოლონია ამჟამად ჩინეთის ადმინისტრაციის ქვეშ იმყოფება „ერთი ქვეყანა, ორი სისტემა" პოლიტიკური შეთანხმებით და მას შედარებით უფრო მაღალი დონის ავტონომია აქვს ჩინეთის სხვა რეგიონებთან შედარებით. მაგ. ის ინარჩუნებს საკუთარ ლეგალურ სისტემას, ფულად ერთეულს, საბაჟოს, საერთაშორისო ხელშეკრულებების მოლაპარაკების უფლებას და საიმიგრაციო კანონებს. მას საკუთარი საგზაო წესებიც კი აქვს — ტრანსპორტის მოძრაობა ბრიტანულ ყაიდაზე კვლავაც მარცხენა მხარესაა. ეროვნული თავდაცვისა და დიპლომატიური ურთიერთობების უფლება-მოვალეობები გადაცემული აქვს პეკინის ცენტრალურ მთავრობას.

მიუხედავად ბრიტანეთის კანონებიდან ჩინეთისაზე გადასვლისა, რეგიონის ინგლისური სახელი ჰონ-კონგი ისევ ძალაში რჩება, სიანგანგის ნაცვლად.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# იულია ტიმოშენკოს მომხრეები ექსპრემიერის ციხიდან გაქცევის ორგანიზებას აპირებენ



უკრაინული მედიის ცნობით, იულია ტიმოშენკოს მომხრეები ექს-პრემიერის ციხიდან გაქცევის ორგანიზებას აპირებენ. უკრაინული გაზეთის „სეგოდნიას" ინფორმაციით, ექს-პრემიერის მომხრეების ტიმოშენკოს გაქცევის რამდენიმე სცენარს ამუშავებენ: მისი გატაცება საავადმყოფოდან, სადაც იგი ამჟამად მკურნალობს, გატაცება კოლონიიდან, სადაც იგი მკურნალობის შემდეგ დაბრუნდება ან კოლონიისკენ მიმავალი გზიდან, ან სასამართლოდან.

გამოცემის წყაროს ცნობით, რომელიც სახელმწიფო პენიტენციალური სისტემის თანამშრომელია, გაქცევის ორგანიზატორებმა კონსულტაციები უკვე გაიარეს და ახლა ჩანაფიქრის განსახორციელებლად, საჭირო თანხას ეძებენ.

ამასთან, გამოცემის ინფორმაციით, გატაცების ერთ-ერთი სცენარი ვერტმფრენის გამოყენებას გულისხმობს. იმ ადგილთა შორის, სადაც ტიმოშენკოს გაყვანა იგეგმება, რუსეთი სახელდება, სადაც მას შეუძლია, პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვოს.

უკრაინის პენიტენციალურ სისტემაში ტიმოშენკოს შესაძლო გატაცებასთან დაკავშირებით, ინფორმაციას არ ფლობენ.

შეგახსენებთ, რომ უკრაინულმა სასამართლომ ყოფილი პრემიერი, პარტია „ბატკივშინას" ლიდერი იულია ტიმოშენკო რუსეთთან გაფორმებული გაზის კონტრაქტთან დაკავშირებით უფლებამოსილების გადამეტებაში დამნაშავედ ცნო და 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილებით ტიმოშენკოს „ნეფტოგაზის" სასარგებლოდ 149 მილიონი დოლარის გადახდა დაეკისრა.

# ტაჯიკეთში შეტაკებებს 100-ზე მეტი სამხედრო ემსხვერპლა



ტაჯიკეთის ოლქ მთიან ბადახშანში გუშინ დილით გენერალ აბდულ ნაზაროვის მკვლელობაში მონაწილეთა დაკავების სამხედრო ოპერაცია დაიწყო.

„ბი-ბი-სის" ინფორმაციით, ტაჯიკეთის მთიან რაიონ ხოროგაში, სავარაუდოდ სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობს, რადგან დუშანბეს სამხედრო ჰოსპიტალში კიდევ 8 მძიმედ დაჭრილი ჯარისკაცი მიიყვანეს და კიდევ 60 დაჭრილს ელოდებიან.

ასევე ვრცელდება ინფორმაცია დაღუპული 100 ჯარისკაცის შესახებაც. მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლოებას შორისაც არის.

მთიან ბადახშანთან ყოველგავრი კავშირი გაწყვეტილია. ტაჯიკეთის ხელისუფლებამ, როგორც ჩანს გადაწყვიტა ხოროგის მაცხოვრებლებს სერიოზული დამსჯელი სპეცოპერაცია მოუწყოს, მიზეზად კი სპეცსამსახურების გენერლის აბდულ ნაზაროვის მკვლელობა სახელდება. ოფიციალური ვერსიით, გენერალის მკვლელობაში უკანონო შეიარაღებული ჯგუფია დამნაშავე, რომელსაც ტაჯიკეთის ოპოზიციის ყოფილი წარმომადგენელი ტოლიბეკ აიომბეკოვი უდგას სათავეში. როგორც ცნობილი გახდა, მან ნებით ჩაბარებაზე უარი თქვა და შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა დაიწყო. მას ნარკოტიკების კონტრაბადაშიც ედება ბრალი.

„ბი-ბი-სი"-ს ცნობით, ოპერაციაში 3000 სამხედრო ღებულობს მონაწილოებას. ადგილობრივების ცნობით, ქალაქში დილიდან ისმის ურთიერთსროლების ხმა. ქალაქიდან გაყვანილი ჰყავთ უცხოელები. მთიან ბადახშანში გამორთულია მობილური და სატელეფონო კავშირი. ქვეყნის ერთ-ერთი გაზეთის ინფორმაციით, ამ რაიონში 200 შეიარაღებული მებრძოლია თავმოყრილი.

გავრცელებული ინფორმაციით, მოკლულია რუშანის რაიონის პროკურორი ნაფასბეკ დილშოდოვი. გუშინ დილით, უცნობებმა ჭურვი ესროლეს იმ სახლს, სადაც პროკურორი იმყოფებოდა.

ასევე ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ბადახშანის და საერთოდ ხოროგის რაიონის მაცხოვრებლები ხმამაღლა გამოხატავდნენ უკმაყოფილებას არსეული ხელისუფლების კორუმპირებულობისა და სისასტიკის შესახებ.

## ცფვუქჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

მეუღლე მედიკო, შვილები მარინა, ირმა, ანზორი შომახიები, სიძე ტატო იზორია, რძალი ნინო ჯავახიშვილი, შვილიშვილები ვახტანგი და ანა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვალიკო ანდროს ძე შომახია**

პანაშვიდი: 24, 25 ივლისს, 17 საათზე, სასტუმრო „ხიბლი" (პეკინის 44).
გამოსვენება: 26 ივლისს, 15 საათზე, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიიდან (ვორონცოვი).

## მარინა და მუხრან გვაზავების გახსენება





მუხრან გვაზავამ სოხუმში შექმნა ოჯახი და 1993 წლის სექტემბრამდე იცხოვრა ოქტომბრის ქუჩაზე მეუღლესთან - შურასთან და სამ ულამაზეს ქალიშვილთან - ალმირასთან, როზიკოსთან და მარინასთან ერთად.

ეს იყო წარსულის უბედნიერესი წლები... შემდეგ კი სოხუმი დაეცა და ყველაფერი თავდაყირა დადგა...

აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, მეორე მსოფლიო ომისა და შრომის ვეტერანი, გამოცდილი სამეურნეო მუშაკი, სახელმწიფო ჯილდოების კავალერი მუხრან გვაზავა ვერაფრით შეეგუა დევნილის სტატუსს და მხოლოდ აფხაზეთში დაბრუნების იმედი ასულდგმულებდა. დევნილთა ყველა თავყრილობას ესწრებოდა, ყოველდღე ეცნობოდა საგაზეთო პუბლიკაციებს, ყველა საინფორმაციო გადაცემას ადევნებდა თვალ-ყურს იმ რწმენით, რომ სადმე საკუთარ სახლში დაბრუნებაზე საიმედო ცნობას გადაეყრებოდა, მაგრამ ამაოდ, ამას ვერ მოესწრო...

ამასობაში უფრო მტკივნეული განსაცდელიც დაუდგა გვაზავების ოჯახს: უმცროს ქალიშვილს, ცნობილ ჟურნალისტს, აფხაზეთის ქართული რადიოს ხელმძღვანელს მარინა გვაზავას უკურნებელი სენი შეეყარა და მოულოდნელად გამოეცალათ ხელიდან... ამ ტრაგედიამ ბატონი მუხრანი და ქალბატონი შურა საბოლოოდ გატეხა და მათი გამხნევება ვერც შვილიშვილებმა და შვილთაშვილებმა შეძლეს...

6 წელი შესრულდა მარინას გარდაცვალებიდან, ბატონ მუხრანს კი 40 დღის წინ მიუჩინეს განსასვენებელი მონატრებული ქალიშვილის გვერდით.

ამაყი და მუდამ გაუტეხელი ქალბატონი შურა ქალიშვილთან და ბაბუსთან(ასე ეძახდა მეუღლეს) განშორების დარდს ველარ ერევა და უჩვეულო ქვითინით გოდებს თავსდატეხილ უსამართლობებზე...

ამ წერილს კი, მართალია, ცრემლით, მაგრამ ტკივილიანი სიხარულით წაიკითხავს, რადგან იცის, რომ არაერთი მკითხველის მეხსიერებაში წუთით მაინც გაცოცხლდებიან მისი სათაყვანო ქმარ-შვილი, მარინა და მუხრან გვაზავები.

*მარინას მეგობრები*

ცფვუქჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტქლქტ7 რდბჰბს უფჰლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტჲ

## TV პროგრამა

ოთხშაბათი
25 ივლისი

**07.30** ჩვენი დილა **09.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **11.00** სამოთხის ვაშლები **12.45** ცხოვრება მშვენიერია **13.50** ვაშინგტონი დღეს **14.20** მხ. ფილმი **"ურჩხული და კოსმეტოლოგი" 17.00** ეკონომ მენიუ **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"მთვარე და ტბა" 21.00** სერ. **"დეტექტივები" 22.00** ევროპული არჩევანი **23.00** ღამის საუბრები. **00.00** მხ. ფილმი **"სასიყვარულო წერილი" 01.45** მხ. ფილმი **"მწუხრი" 03.20** მხ. ფ. **"კრიზისის დრო" 05.30** დოკ. ფილმი "სამყარო"

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 13.45, 19.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** დოკ. ფილმი **16.00** დოკ. ფილმი **17.00** სერ. **"მელოე შანსი" 20.00** მხ. ფილმი **"საზღვრებს მიღმა" 1-2** სერ. **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"შენნაირი ღიმილი"** (15).

**07.30** იმედის დილა **10.05** ან. ფილმი "სპანჯბობი" **10.30** სერ. **"მოპარული ბედნიერება" 11.30** ქრონიკა+ **11.00, 11.30. 14.00, 17.00, 20.00, 01.30, 05.15, 07.00** ქრონიკა **11.50** სერ. **"უკვდავი ამბავი" 12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"ღვინის გზა" 15.40** რომ გადახვალ, გააჩერე (გან.) **17.40** სერ. **"მეწამული ცა" 18.40** სერ. **"შურისძიების სახელით" 21.00** სერ. **"მემკვიდრეები" 22.00** მე მიყვარს საქართველო **23.30** ხანუმა. **00.40** რემონტი **01.30** მხ. ფილმი **"შურისძიება" 04.05** მხ. ფილმი **"დინების წინააღმდეგ" 06.45** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"დედის გული" 11.00** სერ. **"ეჭვი და სიყვარული" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** თქვენი შოუ **17.00** სერ. **"ტერეზა" 18.45** სერ. **"მგზნებარე გული" 19.50** სერ. **"ველური ყვავილი" 22.00** იღბლიანი ბორბალი **23.00** რა? სად? როდის? **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (ტიტ.)

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. **"ჩემი შეყვარებული" 09.45, 12.00, 15.00, 17.00** ტვ-მარკეტი **10.00** მხ. ფილმი **12.15** სერ. **"მარტოხელა მტრედის დაბრუნება" 13.00** მხ. ფილმი **15.15** ან. ფილმი **16.15** ან. ფილმი **17.10** სერ. **"ელიზა და რივომბროზა" 18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ტყუპები" 21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე" 22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი **01.50** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 15.15** დოკ. ფილმი **"დედამიწის საგანძური" 10.30** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი მაფიის წინააღმდეგ" **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერ. **"საგა" 12.50** სერ. **"კეთილშობილი თაღლითები" 13.50** დოკ. ფილმი "ისინი" **16.00** დოკ. ფილმი "პლატინის ქორწინებები" **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი მაფიის წინააღმდეგ" **19.35** სერ. **"კეთილშობილი თაღლითები" 23.00** სცენა **23.40** მხ. ფილმი **"სიყვარული და სხვა უსიამოვნებები"**

**ერთსულოვნება 08.30** განთიადი **10.00, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55** ისტორიის დღიური **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.30, 21.20** უწიგნოდ თვადთახედვის ისარი მოკლეა. **10.50** დოკ. ფილმი "ხიდები სამშობლოსაკენ". **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.05** საეკლესიო კალენდარი. **12.10** დროის ჩანაწერები. **13.15** კონცერტი "ნიჭიერთა ათწლეების მოსწავლეები". **15.05, 18.55, 22.55** ერთი ნივთის ისტორია. **15.10** განთიადის სტუმარი. **15.35** დოკ. ფ. "ველური ბნუება". **16.00** დოკ. ფილმი "მოგზაურობა ბარტ ვულფტან". **16.35** კვირიაკე. **17.05** საუკუნის პორტრეტები — კირიონ II. **18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.10** გუთნისდედა **18.20** დოკ. ფილმი "ჯვარსახოვანი გზა". **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი. **19.00** სიახლენი. **19.20** მხ. ფილმი **"ოთარაანთ ქვრივი"**. **23.15** დოკ. ფილმი "წმინდა ათონელი მამები". **00.35** განთიადის სტუმარი **00.55** ერთსულოვნების სალონი. **01.00** ქართული მელოდიები. **02.30** სიახლენი.

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

25 ivlisi


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6591 | ევრო — 2,011 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5779 | რუსული რუბლი — 0,0512 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 29–34, ღამით — 15–24

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 33–39, ღამით — 20–25

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 21–23, ღამით — 10–11

## ამინდის პროგნოზი 25 ივლისისთვის




## იუმორი



– იცი, ნიკომ რა სიგნალიზაცია დაიყენა მანქანაში? საჭესთან რომ ჯდები, სუნით გცნობს, სხვა თუ დაჯდა – ფეთქდება!

– რა მაგარია! უნდა დავურეკო და ვკითხო, სად იშოვა!

– ველარ დაურეკავ, გუშინ ოდეკოლონი გამოიცვალა...

❖ ❖ ❖

– პატარა ბიჭი მშობლების საძინებელში გაუფრთხილებლად შევარდა და წეროს შეუსწრო...

❖ ❖ ❖

– დილით რომელ საათზე დგები?

– ასე, ექვსზე ვიწყებ გაღვიძებას.

– მეც ექვსზე ვიწყებ გაღვიძებას, მაგრამ შვიდის ხუთ წუთზე ვამთავრებ და ძილს ვაგრძელებ...

❖ ❖ ❖

არჩევნების წინ მგელი ცხვრებს ეუბნება:

– მე თუ ამირჩევთ, ახალი ხორცი არ მოგაკლდებათ...

❖ ❖ ❖

– როგორ სწავლობს შენი ბიჭი სკოლაში?

– ახლა უკვე არა უშავს, მაგრამ მშობლების კრებაზე მაინც სხვისი გვარით დავდივარ.

❖ ❖ ❖

– მარჯვენა ლოყაში თუ შემოგკრეს, არ შეჩერდეთ – ქალებს ჯიუტი მამაკაცები უყვართ...

❖ ❖ ❖

– მამაკაცების ჩოგბურთი საყურებლად სჯობს, ქალებისა – მოსასმენად...

**გ. თ.**

## რასელ კროუ რეჟისორობას იწყებს



ავსტრალიელი მსახიობი რასელ კროუ „შავი“ იუმორით ცნობილი კომიკოსის, ბილ ჰიქსის შესახებ ბიოგრაფიული ფილმის გადაღებას აპირებს.

როგორც ბრიტანული „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება, ეს სრულმეტრაჟიანი ფილმი რასელ კროუს სარეჟისორო დებიუტი იქნება. ფილმის გადაღება 2013 წელს დაიწყება, რადგან ამჟამად ავსტრალიელი მსახიობი რეჟისორ დარენ არონოფსკის ფილმში „ნოე“ მთავარი როლით არის დაკავებული.

სარეჟისორო დებიუტისათვის სცენარი თავად კროუმ დაწერა სკოლის მეგობარ მარკ სტაუფერთან ერთად.

„ბილ ჰიქსის ცხოვრება ტრაგიკულად მოკლე, მაგრამ საინტერესო იყო. სცენარი არაერთხელ შევცვალეთ და ფილმის გადაღებას მომავალი წლიდან ვიწყებთ“, – ამბობს რასელ კროუ „დეილი ტელეგრაფის“ ინტერვიუში.

ამერიკელი კომიკოსი ბილ ჰიქსი 1994 წელს 34 წლის ასაკში ავთვისებიანი სიმსივნით გარდაიცვალა. მისი „შავი“, ზოგჯერ უხამსი იუმორი მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს, ფილოსოფიას, პოლიტიკას, რელიგიას ეხებოდა.

რაც შეეხება რასელ კროუს, რეჟისორ რიდლი სკოტის ფილმში „გლადიატორი“ მის მიერ შესრულებული როლი „ოსკარით“ აღინიშნა. გარდა ამისა, რეჟისორ რონ ჰოვარდის ფილმში „ბრწყინვალე გონება“ მათემატიკოს ჯონ ნეშის როლის შესრულებისათვის იგი „ოქროს გლობუსით“ დააჯილდოვეს. მსახიობი ცნობილია აგრეთვე ფილმებში „რობინ ჰუდი“, „ნოკდაუნი“, „მატარებელი იუმასაკენ“ შესრულებული როლებით.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## სიმონ ბოლივარის მადლიერების ნიშნად

24 ივლისს ეკვადორელები სიმონ ბოლივარის დღეს დღესასწაულობენ. მისი მეთაურობით აჯანყებულებმა გაანადგურეს ესპანელთა ლაშქარი ახალ გრენადაში – დღევანდელ კოლუმბიასა და ვენესუელაში.



ბოლივარი ცდილობდა გაეერთიანებინა მთელი სამხრეთ ამერიკა და შეექმნა სამხრეთ ამერიკის შეერთებული შტატები. ამისათვის იგი უნდა გამხდარიყო ესპანელთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი ხელმძღვანელი. მაგრამ მის გარდა სხვა გმირებიც არსებობდნენ. ერთი მათგანი იყო ხოსე დე სან მარტინი.

სანამ ბოლივარი სამხედრო მოქმედებებს აწარმოებდა კონტინენტის ჩრდილოეთში, სან მარტინი იბრძოდა არგენტინისა და ჩილეს თავისუფლებისათვის. ის არანაკლებ პოპულარული იყო, ვიდრე ბოლივარი. მოკავშირენი შეიძლება ქცეულიყვნენ მტრებად, მაგრამ ასე არ მოხდა – მოხდა შეხვედრა გუაიაკილში, რომლის შემდეგ შედგა გუაიაკილის შეთანხმება – სან მარტინი სამუდამოდ გაემგზავრა საფრანგეთში, ხოლო ბოლივარმა განაგრძო ბრძოლა თავისუფლებისათვის.

მას მიაწერენ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის წინამძღოლობას ვენესუელაში, კოლუმბიაში, ეკვადორში, პერუში, პანამაში და ბოლივიაში. მიუხედავად მის მიერ გამოყენებული ტერორის ტაქტიკისა, ის ეროვნულ გმირად არის აღიარებული ამ ქვეყნებში და კიდევ ლათინურ ამერიკის რამდენიმე სხვა ქვეყანაში. ბოლივარი ასევე ცნობილია როგორც „ელ ლიბერტადორ“.

**გ. ქ.**

## ოლიმპიური ნაკრები ლონდონში პრეზიდენტის სასახლის გავლით გაფრინდა



დღეს დილით საქართველოს ოლიმპიური ნაკრები ლონდონს გაფრინდა. როგორც უკვე ვწერდით, დელეგაცია საქართველოს პრეზიდენტმა სასახლეში მიიღო და სპორტულ თამაშებში წარმატებები უსურვა.

– წინ დიდი შეჯიბრი გაქვთ, ჩვენ კი თქვენი გამარჯვების დიდი ემოციები. ქართველი კაცი ის მებრძოლია, რომელიც გამარჯვების იმედს, ყველაზე გამოუვალ და რთულ სიტუაციაშიც კი არ კარგავს, გამარჯვების შანსი ყველა სახეობაში გვაქვს, მთავარია ვიბრძოლოთ. დღეს მსოფლიოში ბევრი აღიარებს, რომ მრავალი პრობლემის მიუხედავად, საქართველო პირველ პოზიციებს იკავებს. ასე უნდა ვიყოთ სპორტში, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა ოლიმპიელებთან მიმართვისას.

შეგახსენებთ, რომ წლევანდელ ოლიმპიადაზე სპორტის 12 სახეობაში 35 ქართველი სპორტსმენი იასპარეზებს. გუნდის მედროშე და კაპიტანი ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძე იქნება.

**ქ. ყ.**




**ვერძი** – ეს დღე საყვარელ ადამიანებს მიუძღვენით. **კურო** – მიხედეთ ჯანმრთელობას. ერიდეთ ცხარე საკვებს. **ტყუპები** – არ აჩქარდეთ. სანამ რამეს გადაწყვეტდეთ, კარგად დაფიქრდით. **კირჩხიბი** – მორალის კითხვას შეეშვით. გარშემომყოფებს თავი არ მოაბეზროთ. **ლომი** – არ იზარმაცოთ. დღეს ბევრი საქმის გაკეთება უნდა მოასწროთ. **ქალწული** – საქმიანი კონტაქტებისთვის მშვენიერი დღეა. **სასწორი** – იაქტიურეთ. დაწყებული საქმე შუაგზაზე არ მიატოვოთ. **ღრიანკალი** – კარიერული წინსვლა მხოლოდ თქვენს შრომისუნარიანობაზეა დამოკიდებული. **მშვილდოსანი** – შინაურების მიმართ მეტი სითბო გამოიჩინეთ. **თხის რქა** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ერიდეთ ალკოჰოლს. **მერწყული** – წადით სტუმრად. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. **თევზები** – იდეების მოზღვავებას გრძნობთ. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ.

უბცეჰეტ,ს ,ტცყბტჰ ცქტც=

## hჰxცexჰcბ ფ

**შვეულად**: 1. ახალი ნედლი თევზისგან მომზადებული იაპონური კერძი; 2. შემთხვევით ჩავარდნილი შარი ბილიარდში; 3. ფერადი გაუმჭვირვალე შუშის პატარა ნაჭრები, მოზაიკური სამუშაოებისათვის, 5. ფრანგული მინერალური წყალი; 6. ირანის საინფორმაციო სააგენტო; 8. ყველაზე დიდი კუნძული მსოფლიოში; 10. შავი ზღვის სანაპიროზე გავრცელებული გუტაპერჩის შემცველი, სწრაფად მზარდი ჩინური ხე; 12. ხეხილის ბაღი; 14. ცხენის მოსართავი; 15. სერბეთის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელი; 16. ცურვის ერთ-ერთი სტილი.

**თარაზულად**: 1. ლექსის გარითმული სტრიქონი; 4. ქცევაში, ლაპარაკში გამოხატული დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე; 7. მე-19 საუკუნის სამეგრელოს გლეხთა აჯანყების მეთაური; 9. ქართველი მწერალი, სცენარისტი, კინორეჟისორი; 11. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 12. მსხლის ქართული ჯიში; 13. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 17. აქლემის ნაშიერი; 18. აზრი, ჩანაფიქრი; 19. სისხლის სამართლის დანაშაული; 20. ნავთობის საბადო კახეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




# 4 ივლისიდან

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

## „ისტორია და ამოუცნობი სამყარო“




იტალიური კრიმინალური დაჯგუფებები, რომლებსაც კრებითი სახელით – „მაფია“ მოიხსენიებენ, XIX საუკუნის 60-იანი წლებისთვის ტრადიციული ბანდიტიზმის ნიადაგზე აღმოცენდა და მთელი სიცილია მოიცვა. მისი გავლენა მალე გასცდა იტალიის ფარგლებს და XX საუკუნის დასაწყისში ორგანიზაციის ათასობით წევრი, მეტწილად არალეგალურად, შეერთებულ შტატებში დამკვიდრდა. მალე მაფიის საცეცები ამერიკის ცხოვრების ყველა სფეროს მოედო, ხოლო ნარკოტიკებით ვაჭრობის ინდუსტრიაში მისი წამყვანი როლის გამო, მაფიამ საკუთარი ქსელი ბრიტანეთში, კანადასა და ავსტრალიაშიც შექმნა.

მაფიის წევრთა უმრავლესობა დაუნდობელი, ანტისოციალური ელემენტი და კრიმინალი იყო. მიუხედავად ამისა, მათი „ლამაზი“ ცხოვრების სტილი საზოგადოებისთვის ძალზე მიმზიდველი აღმოჩნდა – ათასობით კანონმორჩილი მოქალაქე დგებოდა რიგში ე.წ. განგსტერული ფილმების სანახავად, ხოლო ცნობილი პიროვნებები განგსტერების მხრიდან მის მიმართ გამოჩენილი ყურადღებით იწონებდნენ თავს.

„მაფიის ისტორია“ ალ კაპონეს, ლაკი ლუჩიანოს, ბენჯამინ „ბაგსი“ სიგალის, ტომაზო ბუშეტას და სხვა ცნობილი „მაფიოზების“ ცხოვრებაზე, მათი ოჯახების, კოდექსის, დანაშაულებისა და მკვლელობების შესახებ მოგვითხრობს. იგი წარმოადგენს ვრცელ და ამაღელვებელ ამბავს, რომელიც გაჟღენთილია სისხლით და აღსავსეა მუხანათობით...

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**



კეჰ]ბ ოზსტკზ .დზსტკზ იფდბ